ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

ნინო მუავანაძე

ბიზნესის განვითარების ტენდენციები აჭარის რეგიონში

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: რამინ ცინარიძე
ბიზნესის მართვის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი

ხიჭაური 2019

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი ----------3

I თავი - ბიზნესგარემოს ფორმირება-განვითარების მიმართულებები საქართველოში----------6

§1.1 ბიზნესის ძირითადი მახასიათებლები და ნიშნები ----------6

§1.2 სახელმწიფო და კერძო სექტორის გამიჯვნა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდიდან ----------12

§1.3 ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში ------15

II თავი - ბიზნესგარემო და მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება ----------19

§2.1 ბიზნესგარემოს არსი და ინფრასტრუქტურა ----------19

§2.2 ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები ----------23

§2.3 საქართველოში არსებული ბიზნესკლიმატი და სახელმწიფოს როლი მის რეგულირებაში ----------28

III თავი - ბიზნესგარემოს რეგიონული ასპექტები, პოტენციალი და სრულყოფის ღონისძიებები ----------42

§3.1 ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები აჭარის რეგიონში, კონკურენტუნარიანობა და რესურსებზე წვდომის შესაძლებლობები ----------42

§3.2 კაპიტალის დაბანდების პრიორიტეტული მიმართულებები და ბიზნესის დარგების თავისებურებანი აჭარის რეგიონში ----------47

§3.3 ბიზნეს სუბიეტების ქცევის თავისებურებების კვლევა ----------59

დასკვნები და რეკომენდაციები ----------67

გამოყენებული ლიტერატურა ----------70

დანართი და დამატებები ----------73

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თემის აქტუალობა. თანამედროვე სამყარო მუდმივად ესწრაფვის სიახლეებს, ყოველთვის ხდება ცვლილებები ჩვენს ირგვლივ. დღევანდელი მსოფლიო განვითარების მაღალ საფეხურზეა ეკონომიკის განვითარების თვლსაზრისით. სწორედ იმიტომ, რომ ეკონომიკა უმთავრეს როლს ასრულებს ადამიანთა ცხოვრებაში, მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილებების მიღებაში საჭიროა განვითარების არსებული ტემპის შენარჩუნება და მზაობა იმისთვის, რომ მუდმივად ვეძებოთ სიახლეები და ხელი შევუწყოთ ეკონომიკის განვითარების მაღალ საფეხურზე აყვანას.

მსოფლიო ეკონომიკის წინსვლაში დიდი როლი უკავია ბიზნესს. ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე სწორედ ბიზნესის განვითარებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ყველა ხელისუფლების უპირობო ამოცანაა ხელი შეუწყოს საკუთარ ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, რაც ასევე უზრუნველყოფს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების პირობების ცვლილებას უკეთესობისკენ.

ბიზნესი ეს არის ურთულესი სფერო, რომელიც მუდმივად არის სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ, რომელიც მუდმივად იცვლება და ყალიბდება გარემო პირობების შესაბამისად. ბიზნესმა ჩასახვიდან დღემდე განვითარების დიდი გზა განვლო. მისი ზოგადი განმარტების თანახმად, ბიზნესი ეს არის საქმიანი ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს პროდუქტს საქონლის ან მომსახურების სახით და მისი მთავარი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა.

ბიზნესის განვითარება ყოველდღიურად უფრო მნიშვნელოვანი ხდება თითოეული ქვეყნისათვის, ვინაიდან იგი დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმირებაში და ეკონომიკის განვითარებაში. ბიზნესი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო თანამედროვე ტექნოლოგიების, სიახლეებისა და მუდმივად განახლებადი პროდუქციის შექმნის. იგი არის ძირითადი ბირთვი და მამოძრავებელი ძალა ეკონომიკისა, რომელიც მუდმივად სიახლის ძიების პროცესშია და განუწყვეტლივ

გვთავაზობს ჩვენი სურვილებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ახალ შესაძლებლობებს.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ბიზნესის განვითარებას არც ისე დიდი ისტორია, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საქართველო სწორედ, რომ ერთ-ერთი მათგანია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დღიდან მაქსიმალურად ცდილობს ფეხი აუწყოს მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს და ჩაერთოს საერთაშორისო ბიზნესის ცხოვრების ტემპში.

ჩვენი საკვლევი თემა - ბიზნესს ეხება, უფრო კონკრეტულად კი „ბიზნესის განვითარების ტენდენციებს აჭარის რეგიონში." ვინაიდან, ვფიქრობთ, რომ ეს არის რეგიონი, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო ობიექტია და ბიზნესის განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვს სხვადასხვა მიმართულებებით. შესაძლებელია გამოვყოთ რამოდენიმე სფერო: ტურიზმი, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, სამშენებლო ბიზნესი და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება, რომელთა შესახებ ვრცლად განვიხილავთ თემაში.

ვფიქრობთ ჩვენი საკვლევი თემა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და ბიზნესი ჯერ კიდევ მუდმივ ცვლილებებთან შეგუების ეტაპს გადის და განვითარების გარკვეულ ეტაპზე დგას (მაგ. საკანონმდებლო ცვლილებები). აქედან გამომდინარე, საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი მიზანია ბიზნესის განვითარების ტენდენციების მიმოხილვა აჭარის რეგიონის მაგალითზე. აჭარა ქვეყანაში მოწინავე და სპეციფიური რეგიონია ბიზნესის თვალსაზრისით, თუმცა პრობლემებს აქაც ბლომად ვაწყდებით. უფრო კონკრეტულად კი ბიზნესის შეუფერხებლად განვითარებისთვის როგორ სრულყოფილადაც არ უნდა იქნას შესწავლილი საარსებო გარემო, შეუძლებელია ბოლომდე მივაღწიოთ დაცულობის განცდას, ვინაიდან ყოველთვის არსებობს მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი საფრთხეები.

კვლევის ობიექტი და საგანი. ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბიზნეს-სექტორის განვითარების ტენდენციები საქართველოსა და აჭარის რეგიონში, ხოლო კვლევის საგანია ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო, ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები,

აჭარის რეგიონის კონკურენტუნარიოანობის განსზღვრა, დარგების თავისებურებები, არსებული მდგომარეობა და პოტენციალი.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია ქართველი მეცნიერების, ეკონომისტების და პრაქტიკოსების გამოკვლევები. მათ შორის აღსანიშნავია: ლელა ბახტაძის, რამინ ცინარიძის, ლია ბერიძის, თეიმურაზ შენგელიას, იაშა მესხიას და სხვათა შრომები. მართალია რიგი საკითხები, რომლებიც ეხება არსებულ ბიზნეს-გარემოს და მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს ქვეყანასა თუ აჭარის რეგიონში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი, თუმცა მათი ნაშრომები იძლევა შესაძლებლობას მიმოვიხილოთ საქართველოსა და აჭარის რეგიონის ზოგადი ბიზნეს-გარემო, გამოვკვეთოთ გარკვეული პრობლემები და ტენდენციები.

ნაშრომის ინფორმაციული წყაროა ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცემები, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, აგრეთვე ინტერნეტ მასალები.

კვლევის მეთოდები. მოცემული კვლევის განხორციელების შემდეგ შემუშავდა დასკვნები და რეკომენდაციები. კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენს კითხვარი და ანალიზი; მეთოდი გამოკითხვის, შერჩევა -საკუთრივ-შემთხვევითი. მონაცემების სიზუსტისათვის ასევე გამოყენებულ იქნა შეგროვებითი, შედარებითი მეთოდები.

ნაშრომის სტუქტურა. სამაგისტო ნაშრომი მოიცავს ნაბეჭდ 80 გვერდს. შედგება შესავლისაგან, სამი თავისა და ცხრა ქვეთავისაგან, ნაშრომის ბოლოს მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები, გამოყენებული ლიტერატურა, დანართი და დამატებები.

თავი I. ბიზნესგარემოს ფორმირება-განვითარების მიმართულებები საქართველოში

§ 1.1 ბიზნესის ძირითადი მახასიათებლები და ნიშნები

ბიზნესის განვითერებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ის როგორც დამოუკიდებელი სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ და მოგების მიღებისკენ უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ არსებობდა კაპიტალისტური ბაზარი და კერძო საკუთრება, არსებობდა მოთხოვნილება ცხოვრებისათვის აუცილებელ საჭიროებებზე - საკვებზე, ტანსაცმელზე და საცხოვრებელი ადგილზე. შესაბამისად, საჭირობებზე მოთხოვნილების არსებობამ განაპირობა მისი დაკმაყოფილების გზების ძიება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ბიზნეს საქმიანობის წარმოშობას.

ბიზნესი ეს არის საქმიანი ორგანიზაცია, რომელიც აწარმოებს პროდუქტს საქონ-ლის ან მომსახურების სახით და მისი მთავარი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა.

აშშ-ში ბიზნესის ცნობილი სპეციალისტის ჯეფერსონის ინსტიტუტის ვიცე-პრეზი-დენტის ერიკ ლ. სტოდარის წიგნის „შვიდი ნაბიჯი წარმატებისაკენ“ მიხედვით, საბაზრო ეკონომიკაში გავრცელებულია რვა მითი და ათი მცნება ბიზნესის შესახებ:

მითი 1: ბიზნესი რისკია. სწორად ორგანიზებული და კარგად მართული ბიზნესი არ წარმოადგენს რისკს, მაგრამ რისკზე მიდიან ადამიანები, რომლებიც ეწევიან ბიზნესს. რისკის მთავარ ფაქტორს თვით ბიზნესმენი წარმოადგენს, ხოლო მის შემდგომს - ადამიანები, რომელთა ცოდანა და უნარი გადაარჩენს ხოლმე ბიზნესს მარცხისგან.

მითი 2: ბიზნესმენები დიდ რისკს ეწევიან. აღნიშნული მითი უშუალო კავშირშია პირველ მითთან. თუმცა იგი მცდარია, ვინაიდან კვლევებმა ცხადყო, რომ მაშინ როდესაც აღმოჩნდება სიტუაცია სადაც რისკის ფაქტორი დიდია, ისინი არ იჩენენ მიდრეკილებას დიდი რისკისაკენ. ამასთან, დიდი რისკი არ იძლევა მნიშვნელოვანი

მოგების შესაძლებლობას და ხშირად პირიქით, შესანიშნავ შედეგებს აღწევენ ის კომპანიები, რომლებიც მცირე რისკებს გასწევენ.

მითი 3: აუცილებელია გრანდიოზული იდეა. საწარმოების მხოლოდ მცირე რაოდენობა ემყარება აღმოჩენას და კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობა აღმოჩენებისა იძლევა მოგებას. ყველაზე კარგი იდეები, რომლებზეც იქმნება ახალი კომპანიების უმეტესობა, ესაა უკვე ნაცადი და საიმედო საქონელი ან მომსახურება, ვინაიდან ისინი უკვე სარგებლობენ მყარი მოთხოვნით ბაზარზე. თუმცა, მათი საქმიანობა ხორციელდება რამდენადმე განსხვავებულად, მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით.

მითი 4: აუცილებელია გამოცდილება. ხშირად გაზვიადებულია გამოცდილების აუცილებლობა. მას აქვს მნიშვნელობა, თუმცა არც ისე დიდი. სულაც არ არის აუცილებელი იმუშაოთ მრავალი წელი, იმისთვის რომ დაიწყოთ საკუთარი საქმე და მიაღწიოთ წარმატებას. გამოცდილება - ეს არ არის დრო, ესაა საქმე და შემოქმედება.

მითი 5: აუცილებელია ბევრი ფული. მართალია ფული მნიშვნელოვნად აიოლებს ყველაფერს, მაგრამ როდესაც ჩვენ ის არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს სერიოზული განზრახვა, უფულოდაც შეიძლება დავიწყოთ ბიზნესი. ფული მხოლოდ რესურსია, ასე რომ შესაძლებელია მისი „მოზიდვა“.

მითი 6: დიდი ბიზნესი გაგანადგურებთ თქვენ. დიდი ბიზნესი დამოკიდებულია მცირე ბიზნესზე. ამასთან მცირე ბიზნესის უპირატესობას უფრო მეტი სისწრაფე და მოქნილობა წარმოადგენს. ვინაიდან, ის უფრო სწრაფად ახდენს რეაგირებას მომხმარებელთა ცვალებად გემოვნებაზე.

მითი 7: შეიძლება სწრაფად გამდიდრება. სიმდიდირე არ ელოდება ყველას ვინც დაადგება ბიზნესის გზას და მიაღწევს წარმატებას. ამიტომ ნუ იმედოვნებთ, რომ ბიზნესის დაწყებიდან მალე გამდიდრდებით.

მითი 8: ბიზნესმენებად არ გამოდიან, არამედ იბადებიან. არ დაიჯეროთ, რომ ბიზნესმენებად იბადებიან, შესაძლებელია, რომ ბიზნესი ისწავლოთ. უფრო მეტიც, სხვა შემთხვევაში ბიზნესის სკოლების არსებობა უაზრობა იქნებოდა. ბიზნესი ხელოვნებაცაა და ამავე დროს მეცნიერებაც.

ეს არის მითები, რომლისაც სჯერა ბევრ ადამიანს მთელს მსოფლიოში. თუმცა თითოეული მათგანი დღევანდელი უმოქმედობის გამართლებას წარმოადგენს. ამიტომ არ უნდა დაელოდოთ, რომ ვინმე დაიწყებს, თქვენ თვითონ უნდა დაიწყოთ.

ზემოაღნიშნული მითებისაგან განსხვავებით **ბიზნესის პრინციპები** სახელმძღვანელოს წარმოადგენს ყველა ბიზნესმენისათვის და ამ სფეროში დასაქმებული ადამიანებისათვის.

მცნება 1: იხელმძღვანელეთ კლიენტის ინტერესებით. ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია თუ რას აკეთებს თქვენი ბიზნესი მათთვის. ბიზნესის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს კლიენტი წარმოადგენს. არ არის კლიენტი ე.ი არა არის ბიზნესიც. ბიზნესმენის მიერ დაშვებული ყველაზე ძვირადღირებული შეცდომა - ესაა კლიენტის დაკარგვა. ერთი კლიენტის დაკარგვა არ ნიშნავს მხოლოდ ერთი კლიენტის დაკარგვას, მას ჰყავს მეგობრები და ნაცნობები - თქვენ მათაც კარგავთ.

მცნება 2: იმუშავეთ საკუთარი ბიზნესისათვის და არა მასში. ბიზნესმენი მუდმივად უნდა ეძებდეს ახალ შესაძლებლობებს და წინასწარ უნდა იცოდეს და იყოს მზად მოახლოებული სიძნელეებისათვის. წვრილმანებზე ზრუნვა წარმოადგენს მუშაკების მოვალეობას და არა ბიზნესმენის. მის მოვალეობაა კონტროლი იმაზე, რომ მისი ბიზნესის სისტემა მუშაობდეს კლიენტთა სურვილების დაკმაყოფილებაზე. სისტემის მომსახურებისათვის კი ქირაობს მენეჯერებს.

მცნება 3: გამოიყენეთ უშუალო რეაგირების რეკლამა. უშუალო რეაგირების რეკლამა ითვალისწინებს ჩვენს მიერ მიწოდებულ წინადადებაზე პირდაპირი რეაქციის მიღებას. რეკლამის ეს სახე გვაძლევს შესაძლებლობას აღირიცხოს მისი შედეგები, გამოითვალოს დანახარჯები ერთ კლიენტზე, დაიგეგმოს ხარჯები რეკლამაზე და განსზღვრულ იქნას გასაღების პერსპექტივები. აღნიშნული რეკლამა ასევე გვაძლევს შესაძლებლობას ოპერატიულად იქნას შეტანილი კორექტივები საქონლის მიწოდებაში, წარმოების მოცულობაში, ფასების სისტემაში, სარეკლამო პოლიტიკაში და ა.შ.

მცნება 4: უზრუნველყავით კლიენტის კმაყოფილების გარანტირება. ბიზნესი ვალდებულია იყოს მაღალმორალური და ეთიკური. თუკი თქვენ სთავაზობთ საქონელს ან მომსახურებას საზოგადოებას, ამავე დროს უნდა უზრუნველყოთ კლიენტის კმაყოფილების გარანტირება. სწორედ ეს არის კარგი ბიზნესი. არცერთი კლიენტი არ

იტყვის უარს მიიღოს მომსახურება ან შეიძინოს პროდუქცია იქ სადაც მის კაყოფილებაზე ზრუნავენ. მართალია ეს კონცეფცია საქართველოსთვის ახალია, მაგრამ ეს არის მნიშვნელოვანი ფაქტორი ბიზნესის წარმატებისათვის.

მცნება 5: ყოველკვირეულად იქონიეთ ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ და არასდროს დარჩეთ ნაღდი სახსრების გარეშე. არის შემთხვევები, როდესაც ძალიან მსხვილი კომპანიები განიცდიან ფიასკოს სწორედ იმიტომ, რომ მიმოქცევაში არსებული თავისი სახსრების სიძნელეების შესახებ გაიგეს ერთი თვის შემდეგ და ვეღარ მოასწრო კატასტროფული შედეგიდან თავის დასაღწევად ზომების მიღება. თუ ამოწურულია ნაღდი სახსრები, მაშინ დიდი შანსია, რომ ბიზანესსაქმიანობა კრახით დასრულდება. სწორედ ამიტომ, აღნიშნული პრინციპი მნიშვნელოვანია წარმატებული ბიზნესსაქმიანობისათვის.

მცნება 6: ნუ შეგეშინდებათ კონკურენციისა. არასოდეს არ უნდა იფიქროთ, რომ რასაც ქმნით ის უკვე არის ბაზარზე. უნდა იცოდეთ რომ სამი მნიშვნელოვანი იარაღი გვაქვთ კონკურენტების წინააღმდეგ: ხარისხი, ფასი და რეკლამა.

მცნება 7: შეადგინეთ ბიზნესგეგმა და ნუ შეგეშინდებათ ფასის დაკლების, გეშინოდეთ მისი აწევისა. როცა ბიზნესგეგმა დგება და ირკვევა თუ რა და რისგან უნდა დამზადდეს, სად უნდა გაიყიდოს, რა ეღირება, ვინ იქნება მყიდველი, როგორ გავაგებინოთ საზოგადოებას საქონლის შესახებ და როგორ შეიძლება გავფართოვდეთ ამავე დროს ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მოგება უნდა იყოს უზრუნველყოფილი არა რამოდენიმე ადამიანზე რამოდენიმე ნივთის ძვირად გაყიდვით, არამედ ბევრ ადამიანზე ბევრი ნივთის მათთვის ხელსაყრელ ფასად მიყიდვით.

მცნება 8: გასამრჯელოთი წაახალისეთ ქცევა, რომელიც გინდათ იხილოთ. მოცუმული პრინციპი ფსიქოლოგიიდანაა ნასესხები. ჩვენთან მოსული კლიენტი ყოველთვის უნდა შევინარჩუნოთ, ამიტომ მას უნდა შევუქმნათ დადებითი შთაბეჭდილება. ასევეა მუშაკებთანაც, თუ გვინდა, რომ უკეთესად იშრომონ უნდა მოვექცეთ თავაზაიანად და პატივისცემით. სწორედ ისინი წარმოადგენენ ჩვენს პირველ კლიენტებს. ამასთან, სასურველია მუდმივ მომხმარებლებს შევთავაზოთ ფასდაკლებები ან რაიმე სხვა იდეა მოვიფიქროთ მათი დადებითი შთაბეჭდილებების შესანარჩუნებლად.

მცნება 9: ჩამოაყალიბეთ ბიზნესი ფუნქციებიდან და არა ადამიანებიდან გამომდინარე. ბიზნესის ორგანიზაცია დაიყვანება სამ ძირითად ფუნქციამდე, ესენია: 1) მარკეტინგი; 2) წარმოება; 3) ფინანსები. თითოეულ დარგში მუშაკები უნდა შეირჩეს სარგებლობის მოტანის უნარის მიხედვით და არ უნდა დავუშვათ შეცდომა მათი სამუშაოზე მიღებისას.

მცნება 10: კომპანიის ფინანსური კეთილდღეობა და თქვენი საკუთარი წარმატებები ერთი და იგივე არ არის. რიგ შემთხვევებში სწორედ მარცხზე შეიძლება სწავლება და გამოცდილების მიღება. სიმდიდრე იზომება არა ფულით, არამედ ადამიანის უნარში შექმნას ის. უნდა გჯეროდეს რომ წარმატება არ მიგატოვებს და როცა დაეცემი აუცილებლად შეძლებ ფეხზე დადგომას. (**შუბლაძე....2011:53-66**)

ბიზნესის სფეროში აღნიშნული მითები და მცნებები საკმაოდ გავრცელებულია. შესაბამისად, მათი ერთმანეთისგან გარჩევა და გათვალისწინება მნიშვნელოვანია ყველა ბიზნეს სუბიექტისათვის.

თანამედროვე სამყაროში თავისუფალმა ვაჭრობამ საერთაშორისო ბაზრებზე ხელი შუწყო ფართომასშტაბიან ბიზნეს საქმიანობას. დღეს უკვე პრობლემას აღარ წარმოადგენს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის, ასევე ადამიანური რესურსების გადაადგილება სხვადასხვა ქვეყანაში. აღნიშნული გარემოებები განაპირობებს, როგორც წარმატებულ საქმიანობას, ამავე დროს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლებას. ბიზნესმა რადიკალურად შეიცვალა სახე, გახდა მოძრავი და დინამიური.

ბიზნეს საქმიანობისათვის დამახასიათებელია **მოგების** მიღებისაკენ სწრაფვა. მოგება არის სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. აღნიშნული ნიშანი წარმოადგენს ბიზნესის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებელს. სწორედ, მოგების მოცულობა განსაზღვრავს ბიზნესის წარმატების ხარისხს. თუ კი ბიზნეს საქმიანობის დროს მოგების ზრდას აქვს ადგილი, ბიზნესმენი ეძებს გზებს საქმიანობის გაფართოებისთვის. თუ კი მოგება მცირდება ის ეძებს ახალ გზებს ორგანიზაციაში დაწყებული ტენდენციის შესაცვლელად.

მოგების მოცულობას ასევე განსაზღვრავს წარმოების ფაქტორები და მათი გამოყენების ეფექტიანობა. წარმოების ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს: მიწა, შრომა

და კაპიტალი. თუმცა, ამავე დროს მნიშვნელოვანია წარმოების მეოთხე ფაქტორი - მეწარმეობრივი აქტივობა, იგივე ბიზნესის გაძღოლის უნარი.

ბიზნესი ურთულეს ეკონომიკურ საქმიანობას და ეკონომიკური საქმიანობის ყველაზე აქტიურ ფორმას წარმოადგენს. მსოფლიოში ყველა ქვეყანა ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობის პროცესში, დიდია ხარჯები ინფორმაციის მოპოვებაზე, მოლაპარაკებების წარმოებაზე, ხარისხის კონტროლზე და ა.შ. აღნიშნული ხარჯები ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას და შესაბამისად ამცირებს მოგებას. რაც უფრო რთულდება ბიზნეს საქმიანობა, მით უფრო მატულობს ხარჯები და გარკვეულ წილად ამუხრუჭებს ბიზნესის წინსვლას. შესაბამისად, მეწარმე განუწყვეტლივ ეძებს გზებს აღნიშნული ხარჯების შემცირებისათვის.

ბიზნესის ერთ-ერთ მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს **დასაბუთებული რისკი**. რისკი ნებისმიერ ბიზნეს საქმიანობას ახლავს. ბიზნესი შეიძლება იყოს წარმატებული ან წარუმატებელი. სწორედ ამიტომ, ბიზნესმენი ყოველთვის ცდილობს სწორად შეაფასოს რისკის ხარისხი და იზრუნის მისი შემცირებისათვის ან თავიდან აცილებისათვის. ბიზნესმენისთვის მთავარია ზოგადად არა რისკი არამედ, დასაბუთებული რისკის არსებობა, რომლის რაოდენობრივი განსაზღვრაა შესაძლებელი.

ბიზნესის განვითარებისა და ინვესტიციების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია რისკების შეფასება, რაც უფრო მაღალია მოგების მიღების შესაძლებლობა მით უფრო მიმზიდველია ბიზნეს-პროექტი, თუმცა ამავე დროს მაღალია რისკები. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს რისკების დაზღვევის შესაძლებლობა. დაზღვეული რისკი არის გარანტია იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში მეწარმის ხარჯების დაფარვა მოახდინოს სადაზღვეო კომპანიამ. რისკების დაზღვევა წარმოადგენს ხელსაყრელ პირობას ბიზნესისათვის, თუმცა არსებობს დაბრკოლებებიც. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში არ არის შესაძლებლობა სხვადასხვა რისკის დაზღვევისა, რა დროსაც რისკი მთლიანად აწვება მეწარმეს.

ბიზნესის მახასიათებელია ასევე **მეტოქეობა**, რომელიც გამოხატულია კონკურენციაში. იმისათვის, რომ ბიზნეს საქმიანობა იყოს წარმატებული ორგანიზაციები დაუსრულებლად და მუდმივად უნდა იყვნენ ჩართულები კონკურენტულ მარათონში, წინააღმდეგ შემთხვევაში არც ერთ ქვეყანას და არც ერთ სამეურნეო სუბიექტს არ

შეეძლება გააგრძელოს კონკურენტული და წარმატებული საქმიანობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზრებზე.

კონკურენცია გულისხმობს ბრძოლას ბაზარზე დამკვიდრებისთვის და მეტი სარგებლის მიღებისათვის. კონკურენცია უნდა იყოს კეთილსინდისიერი, ე.ი. უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ და საერთაშორისო სამართლის დადგენილ ნორმებს. მაგრამ სამყაროში კეთილსინდისიერი ადამიანები ცოტანი არიან შესაბამისად, ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასაც.

ბიზნესის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს **ნოვატორობა**. როცა, ბიზნეს საქმიანობას ეწევი მუდმივად გიწევს ზრუნვა ბიზნესის სრულყოფაზე, რადგან, სწორედ სიახლეები და ინოვაციები წარმოადგენს მოგების მუდმივი ზრდის საშუალებას.

ბიზნესის ძირითადი ნიშანია ასევე **ეკონომიკური დამოუკიდებლობა,** რაც გულისხმობს სამეწარმეო სუბიექტების თავისუფლებას - საქმიანობის სფეროს არჩევისას, გადაწყვეტილებების მიღებისას, საწარმოო პროგრამების შექმნისას, დაფინანსების წყაროებისა და მომწოდებლების მოძიებისას, შრომითი რესურსების მოზიდვა-შენარჩუნებისას, ფასების განსაზღვრსას ტარიფებზე, საქონელზე და მომსახურებაზე, რეალიზაციის გზების ძიებას და მოგების საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგვისას.

ზემოაღნიშნული გულისხმობს, რომ ბიზნესი უნდა იყოს დამოუკიდებელი და თავისუფალი. თუმცა, ამავე დროს უნდა დაემორჩილოს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებს ბიზნესსაქმიანობის მაშტაბის მიხედვით.

§ 1.2 სახელმწიფო და კერძო სექტორის გამიჯვნა საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდიდან

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში დაიწყო ტრანსფორმაციული პროცესები და წარმოქმნილ პრობლემებთან გამკვლავება. ეს იყო პრობლემები, რომლებიც სრულიად ახალი იყო ეკონომიკური მეცნიერებისათვის. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და შესაბამისად

საქართველოშიც დაიწყო ახალი ეპოქა, რომელიც გარდამავალი პერიოდის სახელითაა ცნობილი.

ჩვენს ქვეყანაში დაწყებულმა ტრანსფორმაციულმა პროცესებმა მოიცვა ქვეყნის ყველა დარგი: სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ა.შ. ამ პერიოდში ქვეყნის სტრატეგია ნათლად გამოიკვეთა, რადგან დაიწყო შერეული ეკონომიკური სისტემის ფორმირება და გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე.

კერძო საკუთრება საბაზრო ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს. მის გარეშე ნებისმიერი ეკონომიკური ურთიერთობა კარგავს მიზანს. საქართველოში პრივატიზების პროცესი 1992 წლიდან დაიწყო. ამ პროცესის მიზანი იყო სახელმწიფოს იმ საწარმოებისგან განთავისუფლება, რომელსაც ის ვეღარ მართავდა ეფექტურად. აღნიშნული საწარმოების ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჭირო იყო ფინანსური სახსრები, რომელიც იმ პერიოდში ქვეყანას აღარ გააჩნდა. კანონმდებლობით განსაზღვრული სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების გარდა, დაიწყო ქვეყანაში პრივატიზების პროცესი. პირველ ეტაპზე მოხდა მცირე და საშუალო საწარმოების პრივატიზება. ამ პროცესის მიზანს კონკურენტული ბაზრის შექმნა წარმოადგენდა. თუმცა ამ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა იმ საწარმოთა რაოდენობა, რომელც დაიხურა ან დაუგროვდა ვადაგადაცილებული დავალიანებები. ამ პროცესების მიზეზი იყო შემდეგი გარეემოებები: საწარმოების პროდუქციას არ ჰქონდა გასაღების ბაზარი, კვლავწარმოებისათვის არ არსებობდა საკმარისი კაპიტალდაბანდება, საბანკო სისტემა ვერ პასუხობდა ბიზნესის მოთხოვნებს, რადგან მათი საპროცენტო განაკვეთები ხელმიუწვდომელი იყო ბიზნესისთვის, საწარმოთა ხელმძღვანელობას არ გააჩნდა საბაზრო ეკონომიკის საკმარისი გამოცდილება და სხვა.

რაც შეეხება მსხვილ საწარმოებს, მათი პრივატიზება და სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა 1997 წლიდან დაიწყო. ამ პროცესში ჩაერთო საქართველოს მთელი მოსახლეობა. პროცესის განხორციელება საწყის ეტაპზე დაიწყო პოლიტიკური მიზნებით, ძირითადად საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების, სხვა დონორი ორგანიზაციებისა და USAID-ის კონსულტაციების შედეგად, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, თუმცა პროცესი მცდელობის მიუხედავად შედეგიანი არ აღმოჩნდა. ამის გამომწვევი ფაქტორები იყო ის, რომ

საწარმოთა საკონტროლო პაკეტების გაყიდვის შემდგომ ბიუჯეტში შესული თანხები არ ხმარდებოდა კომპანიის რეინვესტირებას, კომპანია მუდმივად განიცდიდა კადრების დეფიციტს და მართვა არ იყო გამჭვირვალე, შესაბამისად ინვესტორი არ ინტერესდებოდა ამ კომპანიის საქმიანობით. ამის შედეგია ის რომ საქართველოში გაძნელდა საფონდო ბირჟის ფორმირებაც.

მიუხედავად იმისა, რომ მოხდა საწარმების განსახელმწიფოებრიობა, ეკონომიკა მაინც უმნიშვნელოდ ვითარდებოდა, ვინაიდან როგორც აღვნიშნეთ საწარმოები მუდმივად განიცდიდნენ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ფინანსური რესურსებისა და კადრების ნაკლებობას. ამას ემატებოდა გამოცდილების არ ქონა დამოუკიდებელი საწარმოს ფუნქციონირებისათვის. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა საწარმოთა უმრავლესობის გაჩერება, მათ ვერ შეძლეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლა. თუმცა, იყო საწარმოები, რომლებიც აგრძელებდნენ ბიზნეს-საქმიანობას, მაგრამ ეს ხდებოდა სახელმწიფოს მიერ რესტრუქტუირებული ვალის საფუძველზე, შესაბამისად ისინი იყვნენ არაკონკურენტუნარიანები. ამდენად, საქართველოში პრივატიზების პროცესმა ვერ შეძლო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, თუმცა საფუძველი ჩაუყარა საბაზრო ეკონომიკის დანერგვას.

პრივატიზების პროცესი 2003 წლამდე ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობდა. 2003 წლის შემდეგ კი განსაკუთრებული ინტენსივობით წარიმართა ეს პროსესი. გარკ-ვეული პერიოდის მანძილზე პრიორიტეტულიც კი იყო ქვეყნის ეკონომიკისათვის დაჩქარებული პრივატიზაცია. თუმცა ამ ფაქტმა საზოგადოების ნაწილის აგრესიაც გამოიწვია, ვინაიდან არ არსებობდა რაიმე შეზღუდვა მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ობიექტების გასხვისებასთან დაკავშირებით.

2003 წლიდან 2010 წლის ჩათვლით, **4280.00** ობიექტის პრივატიზაცია მოხდა, პრივატიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა კი **1.6 მილიარდი** აშშ დოლარი შეადგინა (**ლიბერალური აკადემია, 2011: 45).** პრივატიზების ობიექტებს წარმოადგენდა როგორც მსხვილი, ასევე მცირე საწარმოები და მიწის ნაკვეთები. აღნიშნული პროცესის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საბიუჯეტო შემოსავლების აკუმულირება.

2008 წლისთვის უკვე მნიშვნელოვნად შეცირდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების რიცხვი, თუმცა რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტი ისევ

სახელმწიფოს საკუთრებაში რჩებოდა. მათ შორის: რკინიგზა, ენერგეტიკული ობიექტები და მაგისტრალური გაზსადენი. პრივატიზების ობიექტებს წარმოადგენდა ასევე არასაწარმოო ობიექტები, მაგალითად შენობები ქალაქის ცენტრალურ ადგილებში. საბოლოოდ, უძრავი ქონების ფასი 2008 წლის აგვისტომდე მნიშვნელოვნად გაიზარდა (დაჩქარებულ პრივატიზაციასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უცხოურმა ინვესტიციებმა, კომერციული ბანკების როლმა უძრავი ქონებისა და მშენებლობი სფეროში), რაც ითვლებოდა საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის წარმატების მახასიათებლად. აგვისტოს ომის შემდეგ კი გარემოებები შეიცვალა, შესაბამისად იკლო მოთხოვნამ უძრავ ქონებაზე და ფასები შედარებით დაბალი ტემპით, მაგრამ საგრძნობლად დაეცა.

სწორედ, პრივატიზაციის პროცესმა განაპირობა უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება საქართველოში. ვინაიდან, ინვესტორების სამიზნე ობიექტს წარმოადგენდა საპრივატიზაციო ობიექტები და შემდგომში მასთან დაკავშირებული პროექტები. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით ამ პროცესებმა შეასრულა მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში და ფისკალური ეფექტის თვალსაზრისით სახელმწიფო ბიუჯეტში ფულადი სახსრების აკუმულირებაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პრივატიზების პროცესი დღემდე ხელისუფლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება და ამ პროცესს მიმდიანრე პერიოდისათვის სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ ახორციელებს.

§ 1.3 ბიზნესის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდგომ აშკარაა ბიზნესის განვითარების მზარდი ტენდენციები საქართველოში და შესაბამისად გარკვეული მიმართულებებიც გამოიკვეთა.

პიველ რიგში უნდა აღინიშნოს სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის

განვითარებაში და დიდი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცირე და საშუალო საწარმოებს სამუშაო ადგილების შექმნაში და ეკონომიკის განვითარებაში. აღნიშნული სექტორები ხელს უწყობენ ინოვაციების დანერგვას, ექსპორტს და ამავდროულად დიდი ადგილი უკავიათ ქვეყნის კეთილდღეობის დონის გაუმჯობესებასა და სამეწარმეო კულტურის ამაღლებაში.

საქართველომ ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმა განახორციელა, რომელმაც ხელი შეუწყო ქვეყანაში ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, ასვე პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის პირობების გაუმჯობესებას. კანონმდებლობის ცვლილება, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესება, კორუფციასთან ბრძოლა, საგადასახადო ტვირთის შემცირება და ასევე სხვა მრავალი რეფორმა იყო იმის საშუალება, რომ ბიზნესის დაწყება-განვითარებას ხელსაყრელი პირობები შექმნოდა. სწორედ აღნიშნული რეფორმების შედეგად გაიზარდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რიცხვი, საქართველომ კი ეკონომიკური ზრდის მაღალ მაჩვენებელს მიაღწია. ამასთან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და სარეიტინგო სააგენტოების მიერ დადებითად შეფასადა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა.

მართალია, საქართველოში უკეთესობისაკენ შეიცვალა ბიზნესგარემო, მაგრამ კვლავ დგას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით გამოწვევები ქვეყნის წინაშე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების დიდი ნაწილი, მაგრამ მათი წვლილი ქვეყნის მშპ-ში ისევ ძალიან დაბალია.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - საქართველო 2020 (ივნისი, 2014), აგრეთვე, სამთავრობო პროგრამაში „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, რომელიც პერიოდულად ახლდება. ამასთან საქართველოს აქვს ვალდებულებები აღებული

სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ბიზნეს სექტორის განვითარების ხელშეწყობასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების თვალსაზრისით. მაგალითად, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც მოიცვას „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას'" იგივე „DCFTA". აღნიშნული ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულება და მასთან ადაპტირება მნიშვნელოვანი პირობაა, რათა ბიზნესმა შეძლოს ექსპორტის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

საქართველოში მცირე საწარმოთა განვითარებას განაპირობებს რამოდენიმე ხელსაყრელი ფაქტორი: ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება და მათი შედარებით თანაბარი განლაგება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე; დაუსაქმებელი სამუშაო ძალის არსებობა; ინდივიდუალური შრომისკენ მისწრაფება და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მქონე ტერიტორიების არსებობა.

საქართველოსთვის, როგორც გარდამავალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია სოციალური დიფერენციაცია. სწორედ საშუალო და მცირე ბიზნესი აყალიბებს საშუალო ფენას, რომელც ამავე კლასის მთავარ საყრდენ ძალას წარმოადგენს. მცირე ბიზნესმა არაერთხელ დაამტკიცა რომ ღრმა კრიზისის პირობებში ეს არის სექტორი, რომელიც ასაქმებს ადამიანებს და ზრუნავს ნაკლებად შრომისუნარიან და სამუშაოს გარეშე დარჩენილ ხალხზე. საშუალო ფენა წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვან რგოლს, რომელიც პოლიტიკური თუ ეკონომიკური რყევების დროს ადვილად ადაპტირდება ახალ გარემოსთან და იჩენს მზაობას სოციალური თანხმობის მიღწევისთვის.

მცირე და საშუალო ბიზნესთან ერთად ხაზგასმით უნდა აღინიშნოს **საფინანსო სექტორი,** რომელმაც 28 წლის მანძილზე განვითარების მნიშვნელოვანი გზა განვლო და ჩამოყალიბდა ერთ-ერთ მოწინავე და სწრაფად მზარდ სექტორად საქართველოში და ამავე დროს ამ სექტორში მომუშავეთ ანაზღაურება ყველაზე მაღალია.

საბანკო სექტორის სტაბილურობაზე დგას საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების სტაბილურობა მთელს მსოფლიოში. ამ სფეროში წარმოშობილი პრობლემები შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის წინაპირობა გახდეს, ვინაიდან ეს სფერო პირადაპირ კავშირშია როგორც შემოსავლებთან ისე დასაქმებასთან. ამავე დროს

საბანკო სექტორი მოსახლეების ნდობაზე არის დაფუძნებული. სწორედ ამიტომ წარმოადგენს საფინანსო სფეროს სტაბილურობა ქვეყნის ხელისუფლების დაკვირვების ობიექტს, რათა პრობლემის არსებობის შემთხვევაში, მოახდინოს სწრაფი რეაგირება მასზე. საბანკო სექტორის ზედამხედველობას ძირითადად ქვეყნების ეროვნული ბანკები ან სპეციალური სამსახურები ახორციელებენ, საქართველოში კი ეს ფუნქცია საქართველოს ეროვნულ ბანკს აკისრია.

აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემა მდგრადია. მისი მდგრადობის ზრდაზე მიუთითებს ლონდონის საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი ორი ქართული ბანკის – "თიბისი ბანკისა" და "საქართველოს ბანკის" აქციებზე ფასების მატებაც. "საქართველოს ბანკი" 2012 წლიდან არის ლონდონის ბირჟაზე, ხოლო "თიბისი ბანკი" – 2016 წლიდან.

საფინანსო სისტემის სტაბილურობაზე უარყოფითად იმოქმედა ლარის კურსის მნიშვნელოვანმა გაუფასურებამ 2015-2016 წლებში, თუმცა სტაბილურობის მაჩვენებელი 2017 წლის შემდეგ უმჯობესდება.

რაც შეეხება 2018-2019 წლიდან საბანკო სექტორში ამოქმედებულ რეგლაციებს ეს საფინანსო სფეროსთვის გამოწვევაა, რომელსაც გარკვეულწილად ექნება გავლენა ამ სფეროს სტაბილურობაზე, რასაც შემდგომი პერიოდი ცხადყობს.

II თავი - ბიზნესგარემო და მისი სახელმწიფოებრივი რეგულირება

§ 2.1 ბიზნესგარემოს არსი და ინფრასტრუქტურა

ბიზნესგარემო წარმოადგენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ტექნოლოგიურ, გეოგრაფიულ (საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა არის ერთ-ერთი მნიშვნელაოვანი ფაქტორი, რომელიც ქმნის გარკვეულ გარემოპირობებს ბიზნესის განვითარებისთვის ქვეყანაში. იგი ეკონომიკური განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის: ზღვისპირეთი შესაძლებლობას გვაძლევს ინტენსიურად განვავითაროთ საზღვაო ტრანსპორტი, პორტები, ზღვის პროდუქციის - თევზჭერის მიმართულება, ტურისტულ - რეკრეაციული ინფრასტრუქტურა. თანამედროვე მსოფლიოში ზღვისპირეთი მასტიმულირებელ გავლენას ახდენს და ქვეყნის არასაზღვაო რაიონებისათვის განვითარების დამაჩქარებლად გამოდის) და სხვა ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც არსებობენ ბიზნესის კონტროლისა და გავლენის მიღმა და შეუძლიათ ბიზნესის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე, როგორც დადებითი ისე უარყოფითი გავლენის მოხდენა.

ბიზნესის ყველა სხეობა ფუნქციონირებს ცვალებად გარემოში და იგი წარმატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ხელსაყრელი გარემო პირობები ექმნება.

ბიზნესი გარესამყაროსთან მუდმივ ურთიერთობასა და გაცვლის პროცესშია, სწორედ ამით ინარჩუნებს იგი სიცოცხლისუნარიანობასა და განვითარების შესაძლებლობას. რიგ შემთხვევებში კონკრეტული ბიზნესის სახის წარმოებაში გამოიყენება შეზღუდული ბუნებრივი რესურსები, შესაბამისად საჭირო რაოდენობის და ხარისხის რესურსით ბიზნესის ვერ უზრუნველყოფამ შეიძლება ბიზნესის ნეგატიური შედეგით დასრულება გამოიწვიოს. შესაბამისად ბიზნესი მუდმივად უნდა იკვლევდეს და აანალიზებდეს იმ შიგა და გარე გარემოს, სადაც უწევს არსებობა, ფუნქციონირება და უფრო მეტიც, მას უნდა ჰქონდეს წარმოდგენა ბიზნესგარემოს უახლოეს და შორეულ ტენდენციებზე, გამოწვევებსა და პერსპექტივებზე.

ბიზნესის ეკონომიკური გარემო. ბიზნესის ეკონომიკური გარემო წარმოადგენს გარკვეული ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირი თუ ირიბი გზით გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე. მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია **მაკროგარემო** - ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბუნებრივი, მეცნიერულ-ტექნიკური, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც არ არიან ბიზნესზე დამოკიდებული თუმცა, დიდ გავლენას ახდენენ მის განვითარებაზე. მაკროგარემო ახასიათებს ეკონომიკის საერთო მდგომარეობას და ბიზნესის ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხს.

ბიზნესის ეკონომიკური გარემოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ასევე **მეზოგარემო** - გარემო პირობების ის ნაწილი, რომელთანაც ბიზნესს აქვს უშუალო კონკრეტული ურთიერთობა. იგი მოიცავს ბიზნესზე მოქმედი ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობას როგორც ლოკალურ, ისე რეგიონულ დონეზე. მაგალითად, ლოკალური აქტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე, გეოგრაფიული, სოციალურ-კულტურული, ტექნოლოგიური და სხვა ფაქტორები წარმოადგენენ მეზოგარემოს კომპონენტებს.

ბიზნესის ეკონომიკური გარემოს შემადგენელი ნაწილია ასევე **მიკროგარემო,** რომელიც მოიცავს ყველა იმ ურთიერთობათა ერთობლიობას, რომლებიც აუცილებელია ბიზნესის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის. მაგალითად, საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა, რესურსები, მენეჯმენი, ფინანსური წყაროები, ტექნოლოგიები და ა.შ.

ბიზნესის პოლიტიკური გარემო. პოლიტიკა ბიზნესის გარემოს შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ბიზნეს-საქმიანობის გარე ელემენტს, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოს პოლიტიკურ სისტემას, სამთავრობო ბიუროკრატიის მდგომარეობას და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებს.

ბიზნესის პოლიტიკურ გარემოში მოიაზრება ასევე კანონებისა და სახელმწიფო სტრუქტურების ერთობლიობა, რომლებიც ზღუდავენ ან ასტიმულირებენ ბიზნესის საქმიანობას კონკრეტული მომენტისათვის.

ბიზნესგარემოს ერთ-ერთ ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ პოლიტიკაა, რომლის ზეგავლენა სამეწარმეო გარემოზე მნიშვნელოვანია. ერთის მხრივ, ბიზნესი მოქმედებს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით, ეკონომიკურ პოლიტიკაზე, ხოლო მეორეს მხრივ - პოლიტიკა განსაზღვრავს ბიზნესის ქცევის წესებს.

პოლიტიკური გარემოს გავლინის ხარისხი ბიზნესსაქმიანობაზე მაღალია, რადგან სწორედ სახელმწიფოს შეუძლია თავისი პოლიტიკით წაახალისოს ბიზნესი ან შეაფერხოს იგი. ამასთან, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, სადაც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია პოლიტიკური ფაქტორები სერიოზულ გავლენას ახდენენ ბიზნესის შექმნა-განვითარებაზე. თუმცა, ნებისიერ შემთხვევაში სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს ისეთი პოლიტიკის შემუშავება და გატარება, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის ოპტიმალურ რეგულირებას. ეს კი მას შეუძლია ეკონომიკური და ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის ეფექტურ ფუნქციონირებასა და განვითარებას.

ბიზნესის სახელმწიფოებრივ რეგულირებას სამი მიზანი გააჩნია: 1) ბიზნესის არაკეთილსინდისიერი კონკურენციისაგან დაცვა; 2) მომხმარებელთა ინტერესების დაცვა; 3) თვალყურის დევნება, თუ როგორ უზრუნველყოფს მაღალმომგებიანი ბიზნესი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ბიზნესის სამართლებრივი გარემო. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახედეს ბიზნესის სუბიექტების საქმიანობაზე არის ქვეყნის სამართლებრივი სისტემა. ბიზნეს სუბიექტის ხელმძღვანელობამ უნდა იცოდეს იმ ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, სადაც უხდებათ მოქმედება, რადგან ცალკეულ სახელმწიფოთა სამართლებრივი

ორგანიზაცია განიცდის პოლიტიკური წყობის ზემოქმედებას და არსებითად განსხვავდება ამა თუ იმ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი სისტემებისაგან, მსოფლიოს ქვეყნებს შორის სამართლებრივ ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით.

სამეწარმეო სამართალი და ზოგადად, სამართალის სხვა ნორმები, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საზოგადოების განვითარებისა და შესაბამისად, ბიზნესის ცივილურობის დონეზე. აქედან გამომდინარე, ბიზნესსა და სამართალს შორის მყარდება ორმხრივი ურთიერთობა ერთისმხრივ, სამართალი აწესრიგებს და არეგულირებს ბიზნეს, მეორეს მხრივ კი ბიზნესი ახდენს სამართლებრივი ნორმების სრულყოფასა და განვითარებას.

სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობა განსხვავდება ერთმანეთისაგან. საერთაშორისო სამართალი კი არეგულირებს სუვერენულ სახელმწიფოთა ურთი-ერთობებს საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და კაპიტალის მოძრაობის საკითხებს.

საერთაშორისო სამართლის უნიფიკაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიას. მის მიერ შემუშავებული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია კონვენცია ტვირთების საზღვაო გადაზიდვების შესახებ, საარბიტრაჟო რეგლამენტი და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო რეგულატორულ სისტემასთან. მათ შორის ის ნორმებიც, რომლებიც ბიზნესის სფეროს ეხება. საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვა სავალდებულოა გლობალურ ბიზნესში მონაწილე ყველა სუბიექტებისათვის.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდიდან დღემდე თანდათანობით იხვეწება და სრულყოფილი ხდება ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი კანონები, რომლებიც საქართველოში უშუალოდ ბიზნესგარემოს და საინვესტიციო საქმიანობას არეგულირებს. შესაბამისად, უმჯობესდება ბიზნესის სამართლებრივი გარემო. ასეთი კანონების რიცხვს მიეკუთვნება საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ; საქართველოს კანონი კონკურენციის სააგენტოს შესახებ; საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ; საქართვერლოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის

შესახებ; საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ; საქართველოს კანონი სალიცენზიო მოსაკრებლების და ლიცენზიების შესახებ და ა.შ.

ბიზნესის მარეგულირებელ იურიდიულ სფეროში შედის კონსტიტუციური ნორმები, სამართლებრივი სისტემა, სხვადასხვა სამთავრობო ქვედანაყოფის იურისდიქცია, სპეციფიკური კანონები, რომლებიც ეხება ორგანიზაციების ფორმირებას, დაბეგვრასა და კონტროლს. (**მესხია, 2011:116-127**

ბიზნესის ინფრასტრუქტურა. ბიზნესის ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ინსტიტუტებისა და მათი ურთიერთკავშირის სისტემას, რომელთა მეშვეობითაც ბიზნესი ამყარებს ურთიერთობებს და უზრუნველყოფს საკუთარი მიზნების რეალიზაციას.

ბიზნესის ინფრასტრუქტურის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენს:

- კომერციული ბანკები და საკრედიტო სისტემა;
- სადაზღვეო კომპანიები;
- აუქციონები და ბაზრობები;
- აუდიტორული კომპანიები;
- საკონსულტაციო კომპანიები;
- მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, სარეკლამო და ინფორმაციული სააგენტოები;
- ფონდები, რომელთა მიზანს წარმოადგენს ბიზნეს ინიციატივების სტიმულირება;
- კადრების მომზადების სისტემა და ა.შ.

ბიზნესის წინსვლა და განვითარება წარმოუდგენელია ბიზნესის ინფრასტრუქტურის გარეშე, ამასთან მისი გაუმჯობესება წარმოადგენს ბიზნესსაქმიანობის ხელშემწყობ პირობას. (**მესხია, 2011:144**)

§ 2.2 ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორები

ბიზნეს-საქმინობის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მიწა, შრომა, კაპიტალი და მეწარმეობრივი უნარი, რომლებიც პრაქტიკულ საქმიანობაში დიფერენცირდებიან და

ვლინდებიან სხვადასხვა ფორმით. ბიზნეს-საქმიანობის და საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან ერთად იცვლება ბიზნესზე მოქმედი ფაქტორები, გავლენის ხარისხი და მათი სახეები.

ბიზნესი მუდმივად განიცდის სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებას და რიგ შემთხვევებში სწორედ ეს ფაქტორები წარმოადგენს ბიზნესის კურსის ცვლილების საფუძველს პოზიტიური ან ნეგატიური მიმართულებით. განასხვავებენ ბიზნესის შიდა და გარე ფატორებს.

შიდა ფაქტორები განპირობებულია ბიზნესის შიგა ორგანიზაციის თავისებურებებით.

ორგანიზაცის ძირითადი შიდა ცვლადებს მიეკუთვნება: მიზნები, სტრატეგია, სტრუქტურა, ამოცანები, ტექნოლოგია, პერსონალი, ძალაუფლება და საორგანიზაციო კულტურა. სწორედ მათი საშუალებით ხორციელდება ორგანიზაციაში საჭირო ცვლილებები დასახული შედეგის მისაღებად.

განვიხილოთ თითოეული:

1) **მიზნები,** როგორც ორგანიზაციის სამოქმედო ორიენტირები.

მათი უმთავრესი მახასიათებლებია:

- მიღწევადობა;
- ურთიერთდაკავშირებულობა;
- ბიუჯეტთან თავსებადობა;
- კონკრეტულობა;
- გაზომვადობა;
- დროში განსაზღვრულობა.

2) **სტრატეგია** - წარმოადგენს მიზნების მისაღწევად შემუშავებულ ხანგრძლივვადიან სამოქმედო გეგმას. სტარტეგიები სამ კატეგორიად იყოფა: ზრდის, სტაბილიზაციისა და ეკონომიის სტრატეგია.

3) **ორგანიზაციის სტრუქტურა** - თანამედროვე საორგანიზაციო სტრუქტურებს ახასიათებთ:

- შრომის დანაწილება (სპეციალიზაციის შესაბამისად);
- საქმიანობის კარგი კოორდინაცია;

- გამოკვეთილი მმართველობითი იერარქია (ზუსტად განსაზღვრული „მართვის მოცულობით“);
- ქმედითი საორგანიზაციო კულტურა და ეფექტიანი მმართველობითი სტილი.

4) **ამოცანები** - ემსახურება თანამშრომლებს შორის შრომის რაციონალურ დანაწილებას.

ამოცანები, მათი ხასითის შესაბამისად იყოფა სამ კატეგორიად:

- მუშაობა ხალხთან;
- მუშაობა ინფორმაციასთან;
- მუშაობა ფინანსებთან და საგნებთან; (ნედლეული, მანქანები, იარაღი).

5) **ტექნოლოგიები** - მიმდინარე სამუშაო პროცესების ეფექტინობა დამოკიდებულია სწორედ ტექნოლოგიურ პროგრესზე.

6) **პერსონალი** - წარმოადგენს უმთავრეს შიდა ცვლადს. ისინი წარმართავენ ორგანიზაციის საქმიანობას, უზრუნველყოფენ სამუშაო პროცესის ეფექტურობას და საქმიანობის საბოლოო შედეგსაც ასევე თვითონ განსაზღვრავენ.

7) **ძალაუფლება** - ეს არის ადამიანის უნარი გავლენა იქონიოს მეორე ადამიანზე, ან ადამიანთა ჯგუფზე. ძალაუფლების ფორმებია:

- კანონიერი ძალაუფლება;
- ანაზღაურებაზე დაფუძნებული ძალაუფლება;
- იძულებაზე დაფუძნებული ძალაუფლება;
- რეფერენტული, ანუ ქარიზმატული ძალაუფლება;
- გამოცდილებაზე დამყარებული ძალაუფლება;
- ეტალონური ძალაუფლება.

8) **კულტურა, საორგანიზაციო კულტურა** - ეს არის ცვლადი რომლის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციის ეფექტიანი მართვა.

ადამიანის ქცევის ხასიათი განისაზღვრება არა იმით თუ რა ხდება სინამდვილეში, არამედ მის მიერ კონკრეტული სიტუაციის აღქმით. შესაძლებელია ორმა ადამიანმაც კი ვერ აღიქვას ერთიდაიგივე მოვლენა ერთნაირად. აღქმა კი განსაზღვრავს ადამიანის მოლოდინს. ამიტომაც არ არის საკმარისი მხოლოდ კარგი სამუშაო პირობების შექმნა პერსონალისათვის, კომპანიის მმართველებმა უნდა შეძლონ და შეისწავლონ

პერსონალის მოთხოვნილებები და ინტერესები. თუ ხელმძღვანელობა სწორ ორიენტირს აიღებს მაშინ შეძლებს პერსონალის ეფექტურ მართვას.

ორგანიზაციაში მოქმედი ფაქტორები ერთამანეთან არიან დაკავშირებულნი. ნებისმიერი ფაქტორის მნიშვნელოვანი ცვლილება გარკვეული დოზით მოქმედებს ყველა დანარჩენ ფაქტორზე და შესაძლებელია ერთი ფაქტორის სრულყოფამ არ გამოიწვიოს შრომის მწარმოებლურობის ამაღლება, თუ ეს ცვლილება უარყოფითად იმოქმედებს მეორე ფაქტორზე. ნებისმიერი ორგანიზაცია წარმოადგენს ერთ მთლიან სისტემას, რომელიც ყალიბდება შინაგანი ფაქტორების ურთიერთკავშირით.

გარე ფაქტორები კი განპირობებულია ბიზნესის გარემო პირობების თავისებურებებით. მასში მოიაზრება ყველა ის გარეგანი ფაქტორი, რომელიც როგორც უშაულოდ ისე პოტენციურად ახდენს ზეგავლენას კომპანიაზე. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ორგანიზაციებზე გარე ფაქტორების ზემოქმედების გავლენა მატულობს და უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებს. თუმცა საფრთხის გარდა გარე ზემოქმედების ფაქტორები ორგანიზაციებს გარკვეულ შესაძლებლობებსაც აძლევენ. შესაბამისად, ორგანიზაციის მართვისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული გარე ზემოქმედების ფაქტორები. ორგანიზაციის მიზნების, სამოქმედო გეგმის, სტრატეგიის შემუშავება და ცვლილებების განხორციელება სწორედ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ხდება. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია გარე ფაქტორების ზემოქმედების ზუსტი შეფასება. ვინაიდან, რაც უფრო მაღალია გარე გარემოს განუსაზღვრელობის ხარისხი, მით უფრო ძნელია მენეჯერების მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარე ძალების მრავალფეროვნების გამო საჭირო გახდა მათი დაჯგუფება გარკვეული ნიშნების მიხედვით. ესენია:

- პოლიტიკურ/სამართლებრივი;
- ეკნომიკური;
- სოციო-კულტურული;
- ტექნოლოგიური;
- სისტემური.

თითეულ ჯგუფში კი ერთიანდება შემდეგი გარე ზემოქმედების ძალები:

1) **პოლიტიკური/სამართლებრივი ფაქტორების ჯგუფი:**

- პოლიტიკური სტაბილურობა;
- ადამიანის თავისუფლების ხარისხი;
- ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონები, მათ შორის შრომითი კანონმდებლობა;
- სამთავრობო სისტემის გამართულობა;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- გარემოს დაცვითი მოთხოვნები;
- პროფესიული კავშირებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა.

2) ეკონომიკურ ფაქტორთა ჯგუფი:

- ეკონომიკური განვითარების ტენდენციები;
- ინფლაციის დონე და მშპ;
- საზოგადოების ცხოვრების დონის ზრდის მაჩვენებელი;
- საქმიანი აქტივობის ციკლი;
- უმუშევრობის დონე;
- ჯანსაღი კონკურენცია და ბაზრების ეფექტური ფუნქციონირება.

3) ტექნოლოგიური ფაქტორების ჯგუფი:

- ინოვაციური პროდუქტის შექმნის პოტენციალი და სათანადო ბაზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობა;
- მომსახურეობის გაწევის ალტერნატიული გზები;
- ახალი საწარმოო ტექნოლოგიები, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დონე და ინფორმაციის გაცვლის ხარისხი;
- ორგანიზაციების მზაობა ახალი ტექნოლოგიების დასანერგად;
- სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ძალიხმევა ინოვაციური ტექნოლოგიების განსავითარებლად.

4) სოციო-კულტურული ფაქტორების ჯგუფი:

- დემოგრაფიული ცვლილებები;
- საზოგადოების მიერ აღიარებული ფასეულობების სისტემა;
- ცხოვრების წესი და მისი ცვლილებები;
- საზოგადოების მოთხოვნები;

- განათლების დონე.

5) სისტემური სახის ფაქტორთა ჯგუფი:

- პარტნიორები;
- მომხმარებლები;
- კონკურენტები;
- მომწოდებლები;
- მაკონტროლებელი ორგანიზაციები;
- ინფრასტრუქტურა.

თითოეული ჯგუფი ხასიათდება რთული ურთიერთდამოკიდებულებით და ორგანიზაციაზე მოქმედების თავისებურებებით.

ორგანიზაციაზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით, ორგანიზაციის გარე არე ორ შრედ იყოფა: **მიკროარე** - პირდაპირი ზემოქმედების ჯგუფები და **მაკროარე** - ორგანიზაციაზე ირიბი ზემოქმდების ჯგუფები.

მიკროარე ანუ პირდაპირი ზემოქმედების არე მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ ორგანიზაციებზე და თვითონაც განიცდიან მათ ზეგავლენას. ესენია: მომხმარებლები, კონკურენტები, პარტნიორები, მარეგულირებელი კანონები და მაკონტროლებელი ორგანიზაციები.

ირიბი ზემოქმედების არე მოიცავს: პოლიტიკურ ვითარებას, საერთაშორისო შეთანხმებებს, საზოგადოების განვითარების დონეს, საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებს, მოსახლეობის განათლების ხარისხს, დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, ეკონომიკურ პოლიტიკას, ბაზრების რეგულირების მექანიზმებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას, შრომითი რესურსების მომზადების სისტემას, საზოგადოების მიერ აღიარებულ ფასეულობებს, საწარმო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების დონეს, ინოვაციური ტექნოლოგიოებისადმი დამოკიდებულებას, მეცნიერების განვითერბის დონეს და ა.შ.

კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლებელია, რომ ზოგიერთმა პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების ფაქტორებმა ადგილები შეიცვალონ: პირდაპირი ზემოქმედების ფაქტორი გადაიქცეს ირიბი ზემოქმედების ფაქტორად და პირიქით . (**ჯონსი....2006: 58-87**)

§ 2.3 საქართველოში არსებული ბიზნესკლიმატი და სახელმწიფოს როლი მის რეგულირებაში

ბიზნეს სექტორის საფუძვლიანი ანალიზი ეხმარება დაინტერესებულ პირებს შეაფასონ ბაზარზე არსებული მდგომარეობა. იქნება ეს სექტორის შესახებ დეტალური ინფორმაციის გარკვევა, ტენდენციებისა და ზრდის შესაძლებლობების ანალიზი, თუ კონკურენციის, ფასებისა და მიწოდების ჯაჭვის შესწავლა. ბაზრის სხვადასხვა ასპექტების შესახებ ცოდნა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს მიიღონ მეტად ინფორმირებული და ამის შედეგად ნაკლებად რისკიანი გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება საქართველოს ბიზნეს სექტორს, კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შეინიშნება პროგრესული ტენდენციები ბიზნესიის განვითარებაში.

ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 2018 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 21.9 პროცენტით გაიზარდა და 25.8 მილიარდი ლარი შეადგინა.

ზრდის ტენდენციით ხასიათდება ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელიც. 2018 წლის IV კვარტალში მისი მოცულობა 11.5 მილიარდი ლარით განისაზღვრა, რაც 9.6 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს:

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მოცულობის ცვლილება კვარტლების მიხედვით

დიაგრამა 2.3.1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წლის IV კვარტალში მთლიანი ბრუნვის 51.6 პროცენტი მოდის მსხვილ ბიზნესზე, 19.7 პროცენტი - საშუალო, ხოლო 28.7 პროცენტი - მცირე ბიზნესზე ნაწილდება.

მცირედით განსხვავებული მდგომარეობაა პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში: მსხვილ ბიზნესზე მოდის პროდუქციის გამოშვების 40.3 პროცენტი, საშუალოზე - 25.8 პროცენტი, ხოლო მცირე ბიზნესზე - 33.9 პროცენტი.

ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2018 წლის IV კვარტალი

დიაგრამა 2.3.2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2018 წლის IV კვარტალში 16.5 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5.7 პროცენტით მეტი), ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი

საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა - 10.2 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.8 პროცენტით მეტი).

2018 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 684.5 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 3.7 პროცენტით აღემატება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობიდან 40.6 პროცენტი ქალია, ხოლო 59.4 პროცენტი - კაცი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტლების მიხედვით

დიაგრამა 2.3.3



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 36.2 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 21.6 პროცენტი - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 42.2 პროცენტი - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობამ 647.6 ათასი კაცი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 2.8 პროცენტით მეტი). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 582.4 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 9.1 პროცენტით მეტი).

2018 წლის IV კვარტალში საშუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორში 1 318.7 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 77.2 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 977.2 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 67.9 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით საშუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

მსხვილი ბიზნესი – 1 288.8 ლარი; საშუალო ბიზნესი – 1 513.9 ლარი; მცირე ბიზნესი – 1 234.5 ლარი.

2018 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 40.9 პროცენტი მოდის ვაჭრობის დარგზე (ავტომობილების და მოტოციკლების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა და დასვენება 20.0 პროცენტიანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.8 პროცენტიანი წილით, მშენებლობა - 8.7 პროცენტიანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება - 5.9 პროცენტიანი წილით, ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 3.6 პროცენტიანი წილით, ხოლო დარჩენილი 11.1 პროცენტი კი სხვა დარგებზე ნაწილდება:

ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2018 წელი, IV კვარტალი

დიაგრამა 2.3.4



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წლის IV კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილებს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.7 პროცენტი) და მშენებლობა (20.2 პროცენტი), შემდეგ მოდის ვაჭრობა (17.0 პროცენტი) და ტრანსპორტი და დასაწყობება - 9.8 პროცენტიანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31.2 პროცენტიანი წილი უჭირავს:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის სტრუქტურა, 2018 წელი, IV კვარტალი

დიაგრამა 2.3.5



წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

2018 წლის IV კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის საქმიანობების დარგები ლიდერობენ (შესაბამისად 25.7 პროცენტი, 13.1 პროცენტი და 10.6 პროცენტიანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების (10.2 პროცენტი), ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1 პროცენტი) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5.5 პროცენტი):

ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა რაოდენობის სტრუქტურა, 2018 წელი IV კვარტალი

დიაგრამა 2.3.6



წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ცხრილი 2.3.1

ბრუნვა (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის IV კვარტალი	2018 წლის IV კვარტალი	2018 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	21 145.4	25 786.7	121.9
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	123.0	128.0	104.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	189.2	182.6	96.5
დამამუშავებელი მრეწველობა	2 377.0	2 529.2	106.4
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მინოდება	829.7	920.9	111.0
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	62.4	67.8	108.7
მშენებლობა	2 049.7	2 248.4	109.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	9 998.5	10 555.5	105.6
ტრანსპორტი და დასაწყობება	1 356.8	1 517.6	111.9
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მინოდების საქმიანობები	402.7	464.4	115.3
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	174.5	201.2	115.3
საკვებით და სასმელებით მომსახურება	228.2	263.2	115.3
ინფორმაცია და კომუნიკაცია	450.9	465.4	103.2
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	336.4	366.9	109.1
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	399.3	445.8	111.7
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	257.5	302.9	117.6
განათლება	103.8	113.9	109.7
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	257.5	277.2	107.6
ხელოვნება, გართობა და დასვენება	1 915.4	5 161.2	269.5
სხვა სახის მომსახურება	35.5	39.0	109.8

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

ცხრილი 2.3.2

პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი) NACE rev. 2	2017 წლის IV კვარტალი	2018 წლის IV კვარტალი	2018 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	10 539.9	11 548.5	109.6
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	123.1	131.0	106.4
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	185.5	180.3	97.2
დამამუშავებელი მრეწველობა	2 359.3	2 507.3	106.3
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	365.7	380.0	103.9
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	62.7	76.7	122.4
მშენებლობა	2 189.4	2 336.6	106.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	1 846.4	1 963.8	106.4
ტრანსპორტი და დასაწყობება	964.9	1 135.6	117.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	402.4	464.4	115.4
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	174.7	201.4	115.3
საკვებით და სასმელებით მომსახურება	227.7	263.0	115.5
ინფორმაცია და კომუნიკაცია	393.0	423.8	107.8
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	339.3	369.7	109.0
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	315.7	361.1	114.4
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	176.2	209.7	119.0
განათლება	108.0	119.8	110.9
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	410.6	480.0	116.9
ხელოვნება, გართობა და დასვენება	262.7	371.0	141.2
სხვა სახის მომსახურება	34.9	37.8	108.3

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა 2018 წლის IV კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით:

რეგიონების მიხედვით მთლიან ბრუნვაში ლიდერობს ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 76.8 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 6.0 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 4.8 პროცენტი,
- იმერეთი – 4.0 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 2.6 პროცენტი.

ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობა (2017-2018წწ.)

ცხრილი 2.3.3

დასაქმებულთა რაოდენობა (ქაცი) NACE rev. 2	2017 წლის IV კვარტალი	2018 წლის IV კვარტალი	2018 წლის IV კვარტლის ზრდის ტემპი 2017 წლის IV კვარტალთან შედარებით
საქმიანობის სახეების მიხედვით - სულ	660 059	684 517	103.7
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	11 273	11 455	101.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	8 343	8 478	101.6
დამამუშავებელი მრეწველობა	90 868	89 512	98.5
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	14 883	14 812	99.5
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები	14 579	14 128	96.9
მშენებლობა	73 385	72 407	98.7
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	163 989	175 767	107.2
ტრანსპორტი და დასაწყობება	52 574	55 230	105.1
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	34 811	37 524	107.8
მათ შორის:			
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	13 506	14 493	107.3
საკვებით და სასმელებით მომსახურება	21 305	23 031	108.1
ინფორმაცია და კომუნიკაცია	20 997	22 325	106.3
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	17 785	18 838	105.9
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	20 761	22 623	109.0
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	23 003	23 190	100.8
განათლება	23 464	24 041	102.5
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	67 053	69 799	104.1
ხელოვნება, გართობა და დასვენება	14 261	16 047	112.5
სხვა სახის მომსახურება	8 031	8 342	103.9

წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ლიდერობს კვლავ ქ. თბილისი და სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ. თბილისი – 65.7 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 8.1 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 7.9 პროცენტი,
- იმერეთი – 5.3 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.7 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:

რეგიონების მიხედვით ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები

დიაგრამა 2.3.7



წყარო: **საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური**

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

- ქ. თბილისი – 64.8 პროცენტი,
- აჭარის ა.რ. – 9.5 პროცენტი,
- იმერეთი – 6.6 პროცენტი,
- ქვემო ქართლი – 5.5 პროცენტი,
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.7 პროცენტი.

არსებული სტატისტიკა, მონაცემები და კვლევები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ საჭიროა ბიზნესის განვითერებისათვის გარკვეული ხელშემწყობი პირობების შექმნა, რაშიც დიდი როლი სახელმწიფოს აკისრია. ნებისმიერი სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში, სოციალური პრობლემების მოგვარებაში და ზოგადად სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრაში. ნიშანდობლივია, რომ როგორც არ ვარგა ბიზნესის გადამეტებული რეგულირება, ისე - თვითდინებაზე მიშვება. გადამეტებული რეგულირების შემთხვევაში ადგილი ექნება ეკონომიკის განვითარების

შეფერხებას და მარეგულირებელ ორგანოებში კორუფციის ზრდას, ხოლო თვითდინებაზე მიშვების შემთხვევაში ადგილი ექნება სრულ განუკითხაობას და როგორც მომხმარებლების ისე ინვესტორების უფლებების დარღვევებს.

მსოფლიო ეკონომიკური რეფორმების კვლევებმა ცხადყო, რომ ყველაზე ეფექტური ამ ორ მიდგომას შორის „ოქროს შუალედი"-ს პოვნაა.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის და მათ შორის საქართველოსთვისაც, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისათვის გარკვეული ბიძგის მიცემა და სასტარტო მხარდაჭერა. თუმცა ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მოგვევლინოს ბიზნესის კონკურენტის როლში, პირიქით, სახელმწიფომ უნდა განავითაროს ქვეყანაში ის მიმართულებები და სექტორები, რომლის განვითარების შესაძლებლობაც ბიზნესის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ. ასევე აუცილებელია ბიზნესის სტიმულირების მიზნით ჩანერგოს საგადასახადო (ფისკალური) მოტივაციის მექანიზმი.

აღსანიშნავია, სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდამჭერი ისეთი პროგრამა, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში". სსიპ „აწარმოე საქართველოში" ერთ-ერთი პირველი სახელწიფო უწყებაა საქართველოში, რომელიც 2014 წლის ივნისში შეიქმნა და რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, კერძო სექტორის განვითარება, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და ექსპორტის ხელშეწყობა. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

„აწარმოე საქართველოში – ბიზნესის" მიმართულების მიზანია საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმის მხარდაჭერა, ახალი საწარმოების/სასტუმროების შექმნისა და არსებული საწარმოს/სასტუმროს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა.

„აწარმოე საქართველოში – ექსპორტის" მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების

ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

„აწარმოე საქართველოში - ინვესტიციის“ მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ხელშეწყობა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში.

სახელმწიფო პროგრამის "აწარმოე საქართველოში" ფარგლებში (რომელიც მოიცავს: ბანკის და ლიზინგის ბანკის კრედიტის პროცენტის თანადაფინანსების კომპონენტი (მ.შ. სასტუმროს კომპონენტი), ტექნიკური დახმარების კომპონენტი, მიკრო და მცირე მეწარმეობის ნაწილი, კინოინდუსტრიის ხელშეწყობა, საერთაშორისო ბრენდი) სააგენტოს მხრიდან დაფინანსებაზე გაწეულმა დანახარჯმა 2014 წლიდან 2019 წლის აპრილის ჩათვლით პერიოდზე, შეადგინა 106,812,000 ლარი და დასაქმდა 25,000 - ზე მეტი ადამიანი.

ინვესტიციების მიმართულებით გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა დაახლოებით 350,000 ლარი და დასაქმდა 2,300-ზე მეტი ადამიანი.

ექსპორტის მიმართულებით გაწეულმა დანახარჯებმა, ქვეყნის გარეთ ჩატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, შეადგინა 8,400,000 ლარამდე. [1]

2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა - "**სტარტაპ საქართველო**“, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილია. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას.

[1] შენიშვნა: აღნიშნული მონაცემების შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირისაგან „აწარმოე საქართველოში“ №EG-04/673.

პროექტის კოორდინატორები არიან "საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე. მთლიანად პროგრამისთვის პირველ ეტაპზე გამოიყო 11 მილიონი ლარი, რაც შემდეგ 35 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს, ქოაჩინგს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

ვენჩერული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ავტომობილები, ავიაკოსმოსური წარმოება, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ნანოტექნოლოგიები, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაცია.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ასევე უზრუნველყოფს წარმატებული პროექტების წარდგენას საერთაშორისო ინვესტორებისთვის, დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველიში.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, მთავრობის მიერ გატარებული ყველა მსგავსი სახის ღონისძიების საბოლოო მიზანი ქვეყანაში საერთო სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები ბიზნესმენების წახალისებაა ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის. პროექტი ხელს უწყობს დამწყებს ბიზნესმენებს, რომელთა ბიზნესის ჩამოსაყალიბებლად მსგავსი ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია, რაც საბოლოოდ საზოგადოებრივ წინსვლას განაპირობებს. ინოვაციური პროდუქტის სრულყოფა მნიშვნელოვანია ბაზარზე თავის დამკვიდრებისთვის. პროგრამის არსებობა უნიკალური შანსია სრულიად ნულიდან განახორციელოს ინოვატორმა თავისი იდეა და შექმნას პროდუქტი, რომელიც ახალ სიტყვას იტყვის, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბაზარზე.

"სტარტაპ საქართველოს“ მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ინოვატორების იდეებზე დაფუძნებული ბიზნესის განვითარებას და საერთაშორისო ბაზარზე გასვლას.

აღნიშნული პროექტების გარდა ხაზგასასმელია ის რეფორმები, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა ბიზნესის დაწყება და წარმოება საქართველოში:

საგადასახადო პოლიტიკა: გადასახადების რაოდენობა და განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირდა, აგრეთვე გაუმჯობესდა საგადასახადო ადმინისტრირება. საქართველოს გააჩნია ევროპაში ყველაზე ლიბერალური საგადასახადო სისტემა. ფორბსის 2009 წლის “Tax Misery and Reform Index”-ის მიხედვით საქართველო მსოფლიოში საგადასახადო ტვირთის სიმცირის მიხედვით მე-4 ქვეყანაა ყატარის, არაბთა გაერთიანებული ემირატებისა და ჰონგ-კონგის შემდეგ. ამჟამად საქართველოში მოქმედებს 6 გადასახადი, ნაცვლად 2006 წლამდე არსებული 21 გადასახადისა.

საბაჟო პოლიტიკა: საბაჟო სფეროში განხორციელებული რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული პროცედურები და საგრძნობლად შემცირდა შესაბამისი ხარჯები. იმპორტის ტარიფები გაუქმდა პროდუქტების დაახლოებით 85%-ზე და ამჟამად მოქმედებს მხოლოდ 3 სატარიფო განაკვეთი (12%, 5% და 0%), ნაცვლად ადრე მოქმედი 16-სა. იმპორტის ტარიფები მოქმედებს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და რამდენიმე დასახელების ინდუსტრიულ საქონელზე. საქართველოში არ არსებობს იმპორტის და ექსპორტის რაოდენობრივი შეზღუდვები (ე.წ. კვოტები). DCFTA-ის ძალაში შესვლის შემდგომ, 2014 წლის 1 სექტემბრიდან, ვაჭრობა ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის ხორციელდება ტარიფების გარეშე.

ლიცენზიები და ნებართვები: ლიცენზიების და ნებართვების სისტემის რეფორმირების შედეგად, 2005 წლიდან ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა დაახლოებით 90%-ით შემცირდა. ამჟამად, ლიცენზიები და ნებართვები გამოიყენება მხოლოდ მაღალრისკიანი პროდუქციის წარმოებისას და მომსახურების გაწევისას, ასევე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების და ზოგიერთი სპეციფიკური საქმიანობისთვის. მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის

პროცედურები, შემოღებულ იქნა „ერთი სარკმლის“ და „დუმილი თანხმობის ნიშანია“ პრინციპები. ლიცენზიების და ნებართვების მოსაკრებლების ოდენობა განსხვავებულია საქმიანობის სახეების მიხედვით.

სახელმწიფო მმართველობა: სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის პროცედურები, მათ შორის, ბიზნესთან დაკავშირებული მომსახურება ხორციელდება „ერთი სარკმლის პრინციპით“. მომსახურების უმრავლესობის მიღება შესაძლებელია ელექტრონულად. ამასთან, საქართველომ შექმნა უნიკალური სისტემა - იუსტიციის სახლები - მთელი ქვეყნის მასშტაბით. იუსტიციის სახლებში ერთ სივრცეში ხდება დაახლოებით 400 დასახელების მომსახურების მიწოდება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს როგორც სასურველი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ დროსა და ხარჯებს, ისე კორუფციის რისკს.

საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ზომები მიიღო კორუფციის აღმოფხვრისთვის, მათ შორის, ეკონომიკის ლიბერალიზაცია (გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთების შემცირება, საბაჟო პროცედურების გამარტივება), სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმა, სახელმწიფო მომსახურებასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

ამდენად, ეკონომიკური პროცესების გავლენა ბიზნესის განვითარებაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომაა საჭირო სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური რეფორმების გატარებისას, თანმიმდევრული და მეცნიერული, სიღრმისეული მიდგომა და ბიზნესის მიკრო და მაკრო გარემო პირობების ობიექტური შესწავლა (**საქართველოს .....**, 9-10).

III თავი - ბიზნესგარემოს რეგიონული ასპექტები, პოტენციალი და სრულყოფის ღონისძიებები

§ 3.1 ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები აჭარის რეგიონში, კონკურენტუნარიანობა და რესურსებზე წვდომის შესაძლებლობები

აჭარა მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დასავლეთით ესაზღვრება თურქეთის სახელმწიფო, ჩრდილოეთით - გურიის რეგიონი, აღმოსავლეთით - სამცხე-ჯავახეთის რეგიონი. შავი ზღვის საშუალებით კი აჭარა ესაზღვრება ბულგარეთის ვარნისა და ბურგასის, რუმინეთის კონსტანტის, უკრაინის ოდესისა და ყირიმის, რუსეთის კრასნოდარის და თურქეთის შავი ზღვისა და მარმარილოს ზღვის რეგიონებს. აღნიშნული საზღვრები რეგიონს შესაძლებლობას აძლევს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა პროექტებში, როგორიცაა საერთო სახმელეთო და საზღვაო საზღვრის მქონე ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამები და ასევე აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ერთობლივი საზღვრისპირა პროექტები.

აჭარის რეგიონის უპირატესობაა ის გარემოებაც, რომ რეგიონი ადვილადაა ხელმისაწვდომი საავტომობილო მაგისტრალით, რკინიგზით, საჰაერო და საზღვაო გზებით. მიმდინარე აჭარა - სამცხე-ჯავახეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ რეგიონი დაუახლოვდება სამხრეთ საქართველოს და ამასთან სომხეთისა და ირანის ბაზრებს. აჭარაზე გადის ქვეყნის აღმოსავლეთ-დასავლეთი ცენტრალური მაგისტრალი. რეგიონის მდებარეობა ვაჭრობის შესაძლებლობას იძლევა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო გზებით. ასევე უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ სწორედ ბათუმის პორტზე გადის ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის TRACECA-ს[2] ნაწილი.

[2] ინგლ. **Tra**nsport **C**orridor **E**urope-**C**aucasus-**A**sia

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ადმინისტრაციულად იყოფა 6 მუნიციპალიტეტად, აქედან 5 თვითმმართველი თემია და 1 თვითმმართველი ქალაქი. ესენია:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტი;
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი;
- ქედის მუნიციპალიტეტი;
- შუახევის მუნიციპალიტეტი;
- ხულოს მუნიციპალიტეტი.

აჭარის რეგიონში არსებული ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები გვიჩვენებს რეგიონის ეკონომიკის ტენდენციებს და ასევე ეკონომიკური საქმიანობის ძირითდ ვექტორებს. ბიზნესის ეკონომიკური აქტიურობის ინდიკატორებმა 2017 წელს შეადგინა:

- ბრუნვის მაჩვენებელი 5 176.9 მლნ ლარი;
- პროდუქციის გამოშვება 3 155.0 მლნ ლარი;
- ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ბრაოდენობა 70 087 კაცი;
- საშუალოთვიური ანაზღაურება 848.5 ლარი.

ქვემოთ მოცემულ N3.1.1 ცხრილში წარმოდგენილია რეგიონის ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები 2013-2015 წლებში, ხოლო N3.1.2 ცხრილში წარმოდგენილია 2017 წლის ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები აჭარის რეგიონში მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა

ცხრილი 3.1.1

	2013	2014	2015	2016	2017
ბრუნვა (მლნ. ლარი)	2 753.8	3 424.1	4 155.5	4 755.8	5 176.9
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	1 635.8	2 043.4	2 426.3	3 079.6	3 155.0
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	49 759	54 655	57 555	66 597	70 087
დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	577.3	644.9	821.5	845.4	848.5

ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება და დასაქმება მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2017 წელი

ცხრილი 3.1.2

მუნიციპალიტეტი	ბრუნვა (მლნ. ლარი)	პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება (ლარი)
ქ. ბათუმი	4 555.8	2 757.5	58 153	870.6
ქედის მუნიციპალიტეტი	22.0	14.5	705	293.8
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	309.0	187.5	7 088	645.7
შუახევის მუნიციპალიტეტი	105.2	98.9	621	2 345.6
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	166.8	82.4	2 971	651.9
ხულოს მუნიციპალიტეტი	18.0	14.1	549	706.5

წყარო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

რაც შეეხება ბიზნეს სექტორს საკუთრების ფორმების მოხედვით, 2013-2017 წლებში თვალსაჩინო ხდება ეკონომიკის გამოშვებაში კერძო სექტორის სუბიექტების (უცხოური და ადგილობრივი/ფიზიკური და იურიდიული პირები) ხვედრითი წილის ზრდის პოზიტიური ტრენდი და სახელმწიფო წილის შემცირება.

მნიშვნელოვანია რეგიონის ბიზნეს სექტორის შეფასება საკუთრების ფორმების მიხედვით. აღნიშნული თვალსაზრისით 2013-2017 წლების დინამიკაში გამოკვეთილი ტენდენციით ხასიათდება ეკონომიკის გამოშვებაში სახელმწიფოს წილის შემცირებისა და კერძო სექტორის სუბიექტების (ადგილობრივი და უცხოური/ ფიზიკური და იურიდიული პირების) ხვედრითი წილის ზრდის პოზიტიური ტრენდი.

ეკონომიკის გამოშვება საკუთრების ფორმების მიხედვით

დიაგრამა 3.1.1



წყარო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

2017 წელს აჭარის ბიზნეს სექტორში ფუნქციონირებდა 10 773 საწარმო, მათ შორის კი 98.1% ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული მცირე ზომის საწარმო, საშუალო ზმოის საწარმო 1.6 %-ია, მხოლოდ 0.3% აღმოცნდა მსხვილი საწარმო.

ბიზნეს სექტორში მოქმედ საწარმოთა განაწილება ზომების მიხედვით

დიაგრამა 3.1.2



წყარო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

2017 წელს რეგიონში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ მოქმედ საწარმოთა რაოდენობამ 1 425 შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს აღემატება 32%-ით. 2013-2017 წლებში კი აღნიშნული მაჩვენებლის ზრდამ საშულოდ 21% შეადგინა.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ მოქმედ საწარმოთა რაოდენობა

დიაგრამა 3.1.3



წყარო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

აჭარის რეგიონი მაკროეკონომიკური მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით ყველაზე სწრაფად განვითარებად რეგიონს, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, არსებული ბიზნეს კლიმატით და სხვა რიგი უპირატესობებით, რომელიც რეგიონს გააჩნია.

რეგიონში ბიზნესის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მისი კონკურენტუნარიანობა ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით და არსებულ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობები. აჭარის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს არაერთი ფაქტორი:

- ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობა;
- საერთაშორისო აეროპორტის არსებობა რეგიონში;
- აჭარის ხელმისაწვდომობა რკინიგზით, საავტომობილო მაგისტრალით, საზღვაო და საჰაერო გზებით;
- აჭარაზე (ბათუმის პორტზე) გამავალი ევროპა-კავკასია-აზიისკორიდორის TRACECA-ის ნაწილი;
- ტურისტული რესურსების მრავალფეროვნება, უნიკალურობა და აშ.

რეგიონი გამორჩეულია აქ არსებული როგორც ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით ისე ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობითაც. თუმცა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის მხრივ არის გარკვეული დაბრკოლებები (იხ.

დანართი, ცხრილი №2). გარდა ამისა, რეგიონში ბიზნეს სექტორის დაინტერესების ობიექტს წარმოადგენს:

- ბიომრავალფეროვნების ნაირსახეობა, დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები და ეროვნული პარკები); რეგიონის მტკნარი მიწისქვეშა წყლები და მისი საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგი;
- მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსების, მინერალური და სუფთა წყლის მარაგი;
- საშენ მასალათა წარმოებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების არსებობა;
- რეგიონში არსებული სამკურნალო-სარეკრეაციო ზონები და განვითარების მაღალი პოტენციალი;
- ზღვის რესურსების ხელმისაწვდომობა და ა.შ

რეგიონის კონკურენტუნარიოანობისა და რესურსებზე წვდომის პოტენციალის მიხედვით - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შესახებ ვრცელი ინფორმაცისათვის იხ. დანართი, ცხრილი №1 და №2.

§ 3.2 კაპიტალის დაბანდების პრიორიტეტული მიმართულებები და თავისებურებანი აჭარის რეგიონში

ბიზნესის განვითარება რეგიონების მიხედვით დამოკიდებულია მთელ რიგ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობაზე. ამ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეკონომიკური რესურსების, მაგალითად, ბუნებრივი, საივესტიციო, ადამიანური რესურსების არსებობა და განაწილება. აჭარის რეგიონში ბიზნესის განვითარება სწორედ ამ ფაქტორთა მოქმედების შედეგს წარმოადგენს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობისა და რიგი სუბიექტური ხასიათის ფაქტორების გამო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეს ფაქტორები ერთნაირად არ მოქმედებდნენ.

რეგიონის ეკონომიკა. საქართველოს რეგიონებს შორის აჭარის რეგიონი გამოირჩევა გეოგრაფიული არეალითა და ეკონომიკური აქტიურობით. რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ინვესტიციების ზრდა როგორც

სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. მნიშვნელოვანია საინვესტიციო პროგრამების შემუშავება სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც მიმართული იქნება არამარტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, არამედ, საჭიროა ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდოს ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებაში, რაც წარმოადგენს რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისათვის აუცილებელ პირობას. ამასთან, საჭიროა საინვესტიციო საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემოპირობების შექმნა, შენარჩუნება და განვითარებისათვის გარკვეული სტრატეგიების შემუშავება, რაც ასევე აუცილებელი კომპონენტია რეგიონის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური საქმიანობის სახეებიდან აჭარაში წამყვანი ადგილი 2017 წლის მინაცემებით ვაჭრობას, მშენებლობას, მრეწველობას, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობას, სასტუმრო და სარესტორნო სექტორს უკავია. 2013 წლიდან საქმიანობის ეს სახეები სტაბილურად იზრდებიან, რაც ასახულია ქვემოთ მოყვანილ ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო სექტორის დარგობრივი მაჩვენებლები

ცხრილი 3.3.1

ვაჭრობის მაჩვენებლების დინამიკა (აჭარის ა.რ.)					
	2013	2014	2015	2016	2017
ბრუნვა (მლნ. ლარი)	1 356.1	1 614.4	1 682.8	1 974.3	2 067.4
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	212.0	247.7	315.6	348.1	401.9
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	9 402	10 810	12 421	13 562	14 140
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	410.9	467.4	504.2	545.4	553.5
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	152.8	176.0	196.9	237.5	286.1

მშენებლობის მაჩვენებლების დინამიკა (აჭარის ა.რ.)					
	2013	2014	2015	2016	2017
ბრუნვა (მლნ. ლარი)	460.2	662.1	787.6	969.1	872.0
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	512.2	740.4	823.8	1 113.5	1 067.1
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	8 767	10 181	10 230	10 110	9 607
დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	883.3	933.6	1 522.8	1 664.7	1 420.0
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	255.6	266.5	332.8	397.1	390.1

მრეწველობის მაჩვენებლების დინამიკა (აჭარის ა.რ.)					
	2013	2014	2015	2016	2017
ბრუნვა (მლნ. ლარი)	330.4	376.3	381.1	420.4	512.8
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	285.3	335.6	359.2	437.4	496.6
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	7 710	8 659	8 652	9 791	10 454
დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	450.7	516.7	540.2	567.8	610.8
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	94.6	103.4	127.1	133.8	157.7

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მაჩვენებლების დინამიკა (აჭარის ა.რ.)					
	2013	2014	2015	2016	2017
ბრუნვა (მლნ. ლარი)	266.8	292.3	372.9	435.7	395.8
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	267.5	288.1	379.3	436.7	373.8
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	4 686	4 832	4 709	6 348.0	8 125
დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	949.9	951.6	1 201.5	1 122.0	1 226.2
დამატებული ღირებულება (მლნ. ლარი)	122.0	127.6	189.9	182.0	193.6

სასტუმროებისა და რესტორნების მაჩვენებლების დინამიკა (აჭარის ა.რ.)					
	2013	2014	2015	2016	2017
ბრუნვა (მლნ. ლარი)	119.9	134.1	170.9	225.3	243.1
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	119.3	137.2	170.0	246.1	247.6
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	5 826	6 002	6 082	6 510	7 327
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	358.4	362.3	553.1	644.7	675.8
დამატებული ღირებულება (მლნ.ლარი)	50.5	59.4	87.2	130.4	135.6

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

ინვესტიციები. უცხოელი ინვესტორებისათვის აჭარა მიმზიდველი რეგიონია. აჭარის რეგიონი გეოეკონომიკური მდებარეობით, ზღვისპირა ზოლში განვითარებული ინფრასტრუქტურით, საზღვრისპირა მდებარეობის ფაქტორით და ა.შ მიმზიდველია

დაინტერესებული ბიზნესმენებისათვის. შესაბამისად, რეგიონში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2017 წელს შეადგინა 193 მილიონ 797 ათას 300.

ინვესტიციების დინამიკა 2013-1017 წწ.

დიაგრამა 3.3.1



შენიშვნა: **დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით**

რეგიონში ინვესტიციების ყველაზე დიდი წილი ბათუმის მუნიციპალიტეტშია განხორციელებული. აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს როგორც არსებული, ასევე პოტენციური ინვესტორების ინფორმირებას რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობებისა და საინვესტიციო პროექტების შესახებ. სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო სტრუქტურებთან, ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოსთან, რეგიონის მუნიციპალიტეტებთან და კერძო სექტორთან. ამავე დროს მნიშვნელოვანია, არამარტო აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აქტიური ჩართულობა, ასევე სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორთა მხარდაჭერის მექანიზმების სისტემატიზაცია და ინსტიტუციური განვითარება.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა რეგიონის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში: ენერგეტიკა, მშენებლობა, ტურიზმი, მრეწველობა, ინფრასტრუქტურა და მომსახურების სხვადასხვა სფერო. დარგებს შორის მოზიდული ინვესტიციათა რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი წილი ენერგეტიკასა და ტურიზმის სექტორზე მოდის, რაც განპირობებულია რეგიონის ჰიდრორესურსებისა და ტურისტული პოტენციალით.

დღეის მდგომარეობით, არამარტო აჭარის რეგიონისათვის, არამედ მთელი საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისა და სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ხელშეწყობა ისეთი მნიშვნელოვანი დარგების აღორძნებისათვის, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქვეყნისათვის, რათა ქვეყანა განვითარდეს და დავიკავოთ ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოთა რეიტინგში სასურველი პოზიცია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ქვეყნის საინვესტიციო გარემო იყოს სტაბილური და მიმზიდველი ინვესტორებისათვის.

ბიზნეს სუბიექტები და მეწარმეობა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დარეგისტრირებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით რეგისტრირებული ბიზნესის 8,3% -ით ნაკლები ვიდრე თბილისსა და იმერეთში (43,5%; 13,8%). რეგიონში რეგისტრირებული ბიზნესის 70% ქ. ბათუმშია რეგისტრირებული, 15% ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ხოლო 10%-მდე ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

მეწარმეობის მხარდასაჭერად როგორც მთელს საქართველოში ასევე აჭარის რეგიონში მოქმედებს სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამები. რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებას კი აქვს მხარდამჭერი პროგრამები, რომლებიც ეხება მხოლოდ სოფლის მეურნეობისა და ტურმიზმის სექტორებს და მათთან დაკავშირებულ დარგებში მოქმედ საწარმოებს.

მართალია ქვეყანაში ფინანსური სისტემა კარგად არის განვითარებული, ასევე მეწარმეობის განვითარებას გარკვეულწილად ხელს უწყობს სახელმწიფო პროგრამები, მაგრამ რეგიონში როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით გარკვეული დაბრკოლებებია. ფაქტია, რომ კომპანიების დიდი ნაწილი

სარგებლობს მოძველებლი ტექნოლოგიებით და წარმოების მცირე შესაძლებლობები გააჩნიათ. ისინი იშვიათად თანამშრომლობენ უცხოურ კომპანიებთან. ასეთი თანამშრომლობის მაგალითები ძირითადად გვაქვს ტურიზმისა და ტრანსპორტის მიმართულებით და ასევე დამამუშავებელ დარგებში. ამასთან კომპანიებს არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება მარკეტინგში და უჭირთ, როგორც ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისი პროდუქციის წარმოება ისე, ახალ ბაზრებზე გასვლა. ამ ყველაფრის მიზეზი კი არის ბიზნეს განათლების დაბალი დონე და ასევე მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია.

აჭარის რეგიონში ახალი სექტორების განვითარებას გარკვეულწილად აფერხებს ბიზნესის ხელშემწყობი ინსტიტუტებისა და პროგრამების სიმცირე. აუცილებელია ბიზნესინკუბაციის პროცესის გამოყენება განვითარებისათვის, საკონსულტაციო, საინფორმაციო, ფინანსური, ადმინისტრაციული და ასევე ტექნოლოგიური მხარდაჭერა. საჭიროა, ისიც რომ მხარდაჭერა შესაძლებელი იყოს მთელი რეგიონის მასშტაბით.

ტურიზმი. აჭარის რეგიონში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტურიზმს. რეგიონში ტურიზმის განვითარების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი ზღვისპირა მდებარეობა, ამასთან ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსების გამოყენებით წარმოდგენილია მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტები. ასევე აღსანიშნავია სამთო-საკურორტო ბიზნესი, რომელსაც განვითარებსი დიდი პერსპექტივა აქვს.

რეგიონში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიები: მტირალასა და მაჭახელას ეროვნული პარკები, ადგილობრივი მნიშვნელობის - ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი. აღსანიშნავია, უნიკალური ბოტანიკური ბაღი, სადაც წარმოდგენილია სრულიად განსხვავებული ლანდშაფტური და კლიმატური ზონების მცენარეების სახეობები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით მართალია ვიზიტორთა საერთო რაოდენობა ბოლო პერიოდში გაიზარდა, მაგრამ ეს ხდება უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდის ხარჯზე, ადგილობრივი ტურისტების რაოდენობა კი კლებულობს რაც გამოწვეულია მაღალი

ფასებით, ფასებისა და ხარისხის ერთმანეთთან შეუსაბამობით, მომსახურების დაბალი ხარისხით, ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სირთულეებით და ასევე გაუმართავი საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურით.

რეგიონს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. თუმცა ტურიზმიდან დამატებითი შემოსავლების მისაღებად საჭიროა ტურისტების რაოდენობის ზრდა და ასევე სამიზნე საერთაშორისო ბაზრების დივერსიფიცირება. ამავე სფეროს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ რეგიონში არის ინფორმაციის სიმწირე ტურისტული სანახაობების შესახებ და რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის ნაკლებობაა. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობა არასისტემატიურია.

აჭარის ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაციისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გონიოს განვითრების პროექტს, რომლის განხორციელებას ერთობლივად გეგმავენ საქართველოს საინვესტიციო სააგენტო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

რეგიონში არის სამთო-სათხილამურო კურორტები გომარდული და გოდერძი. კურორტი გოდერძი ფუნქციონირებს 2015 წლიდან და ზღვის დონიდან 2027 მეტრზე მდებარეობს. აქ ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ გავითარების ეტაპზეა. შესაბამისად ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ხელს შეუწყობს კურორტის განვითარებას, რომელიც არამარტო ზამთარში, ზაფხულშიც აქტიურად მასპინძლობს ვიზიტორებს, ვინაიდან, აქ არის გოდერძის ნამარხი ტყის ძეგლი, ასევე მწვანე ტბა და სხვა სანახაობრივი ადგილები. რაც შეეხება სათხილამურო კურორტ გომარდულს, რომელიც შუახევის მუნიციპალიტეტში, ზღვის დონიდან 1250 მეტრზე მდებარეობს აქაც ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ განვითრების ეტაპზეა. კურორტზე აჭარის მასშტაბით ყველა შეჯიბრი, რომელიც ზამთრის სპორტში ტარდება გომარდულში იმართება.

ტრანსპორტი. აჭარის ეკონომიკაში ტრანსპორტის მნიშვნეოვან წილს ბათუმის პორტი განაპირობებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ბათუმის პორტი წარმოადგენს ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის „TRACECA”-ს მნიშვნელოვან რგოლს. ბათუმის პორტის უპირატესობაა ის, რომ უკრაინის აკვატორია ზამთარში იყინება, ხოლო რუსეთის პორტებში ხშირია ძლიიერი ქარები. ბათუმის პორტის გამტარუნარიანობა 15

მლნ. ტონამდეა წელიწადში, ტერმინალი კი პრაქტიკულად ყველა სახეობის ნავთობის გადამუშავებაზეა სპეციალიზირებული. პორტს დაახლოებით 22 სახეობის ნავთობისა და ნავთობპროდუქტის გადატანა შეუძლია, რაც მის უპირატესობას წარმოადგენს სხვა პორტებთან შედარებით.

პორტის მშრალი ტვირთების ტერმინალი კი ემსახურება, როგორც მცირე ისე დიდტონაჟიან გემებს. მშრალი ტვირთების მაქსიმალური გამტარუნარიანობა წელიწადში 2,0 მილიონი ტონაა. საკონტეინერო ტერმინალის გამტარუნარიანობა შეადგენს 100 000 TEU[3] წელიწადში. საბორნე სისტემის მუშაობა პორტში სრულად ავტომატიზირებულია. ტერმინალის ნომინალური წლიური გამტარიანობა 700 000 ტონას შეადგენს. სამგზავრო ტერმინალი მდებარეობს ბათუმის ცენტრში ბულვარის გაყოლებაზე. მისი გამტარუნარიანობა კი წელიწადში დაახლოებით 180 000 მგზავრს შეადგენს. სამგზავრო ნავმისადგომები სამგზავრო გემებისა და Ro-Ro[4] ტიპის გემების დამუშავებას უზრუნველყოფენ.

ტურისტული მომსახურების მაღალი ხარსხი მნიშვნელოვანია ამ სფეროს განვითარებისათვის. ამიტომ აუცილებელია ტურისტულ სფეროში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლება და მომსახურების ხარისხის კონტროლი.

მშენებლობა. უკვე წლებია რეგიონში მშენებლობა სწრაფად და სტაბილურად იზრდება. ეს გამოწვეულია ტურიზმის სფეროსა და ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების მაღალი დონით. ბოლო პერიოდში სწორედ მშენებლობაშია შექმნილი რეგიონის სამუშაო ადგილების 17-18% და ყველაზე მაღალი შრომის ანაზღაურება, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების შემდეგ. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ მშენებლობის სფეროში ადგილობრივების დასაქმება დამოკიდებულია მათი კვალიფიკაციის შემდგომ გაუმჯობესებაზე.

---

[3] შენიშვნა: საკონტეინერო გემების და საკონტეინერო ტერმინალების ტვირთტევადობის მახასიათებლად იყენებენ განზომილების ერთეულს, რომელიც უდრის ოცი ფუტის ეკვივალენტურ ერთეულს (TEU). ერთი TEU აღნიშნავს სტანდარტული 20 ფუტი სიგრძის ISO საზღვაო კონტეინერის ტვირთტევადობას. 40 ფუტი სიგრძის კონტეინერი ISO უდრის 2 TEU-ს;

[4] შენიშვნა: სამგზავრო გემი საბორნე-სატვირთო განყოფილებით ან სპეციალური კატეგორიის განყოფილებებით, კონვენციის განმარტების შესაბამისად.

დამამუშავებელი მრეწველობა. რეგიონში დამამუშავებელ მრეწველობაში გამოშვებული პროდუქციაში უმეტესი წილი მოდის საკვებ პროდუქტებზე, სამელებსა და თამბაქოზე, ტექსტილსა და ტექსტილის ნაწარმზე და ხის ნაწარმზე.

პროდუქციის დასახარისხებლად, გადასამუშავებლად, დასასაწყობელად და შესაფუთად საწარმოები შემდეგ დარგებში ფუნქციონირებენ:

- ციტრუსის და ხილის გადამუშავება/ საკონსერვო წარმოება;
- ჩაის ფოთლის წარმოება;
- თხილის გადამუშავება;
- კენკროვნების წარმოება;
- ხორბლის გადამუშავება, პურისა და პურპროდუქტების წარმოება;
- რძისა და რძის პროდუქტების წარმოება;
- ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება;
- მეფრინველეობა;
- მინერალური წყლები;
- სოკოს წარმოება,
- ღვინის წარმოება და სხვა.

გადამამუშავებელი საწარმოების უმეტესი ნაწილი თავმოყრილია ქობულეთში, ბათუმში და ხელვაჩაურში. ასევე ახალი საწრმოები იხსნება ქედის მუნიციპალიტეტში.

ენერგეტიკა. აჭარის რეგიონში 14 მდინარეა. ენერგეტიკული თვალსაზრისით ყველაზე მძლავრი მდინარეებია: ჭოროხი, აჭარისწყალი, ჩირუხისწყალი და კინტრიში. აჭარის მდინარეების ჯამური პოტენციური სიმძლავრე 730 მეგავატია, რომელიც წარმოშობს 6.4 მლრდ კილოვატ/საათს წელიწადში. მდინარეთა პოტენციური ენერგია 1 კმ^2-ზე გაანგარიშებით არის 244 კვტ.სთ/კმ^2, მაშინ როცა ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია - 220 კვტ.სთ/კმ^2.

რეგიონში შესწავლილია ჰიდროლოგიური მონაცემები, რომლის თანახმად, მცირე მდინარეების არსებული ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისების შემთხვევაში, შესაძლებელია 10.5 ათასი კვტ/სთ საერთო სიმძლავრის 40-მდე მინი ჰესის განთავსება.

რეგიონში ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებისა და განაწილების სექტორს დასაქმებაში, მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში და პროდუქციის

გამოშვებაში მნიშვნელოვანი ადგილი არ უკავია, მაგრამ მომხმარებელთა გაზიფიცირება, ელექტროენერგიის წარმოებას და წყლით მომარაგებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია შემდგომში ეკონომიკის ზრდა-განვითარებაში და მოსახლების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისების მაჩვენებლები აჭარის რეგიონში

ცხრილი 3.3.2

	ჰესის დასახელება	მუნიციპალიტეტი	მფლობელი კომპანია	ჰესის ზომა	დადგმული სიმძლავრე (მეგავატი)	წლიური გამომუშავება (მლნ კვტ.სთ)	სტატუსი
1	აწჰესი	ქედა	სს ,,ენერგო-პროჯორჯია"	საშუალო	16	103	მოქმედი
2	კინკიშაჰესი	ქედა	სს ,,ზაჰესი"	მცირე	0.84	1.8	მოქმედი
3	აჭიჰესი	ქობულეთი	შპს ,,მცირე ენერჯი"	მცირე	1.02	5.1	მოქმედი
4	მაჭახელაჰესი	ხელვაჩაური	შპს ,,ბაკური"	მცირე	1.43	4.45	მოქმედი
5	სანალიაჰესი	შუახევი	შპს ,,სანალია"	მცირე	3.4	4.5	მოქმედი
6	კინტრიშაჰესი	ქობულეთი	შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“	მცირე	6.0	37.0	მოქმედი 2017 წლიდან
7	გოგინაური ჰესი	შუახევი	შპს ,,ALTER ENERGY"	მცირე	1.95	10.6	ექსპლუატ-აცის წელი 2022
8	ოქროპილაური ჰესი	შუახევი	შპს ,,ALTER ENERGY"	მცირე	1.95	10.8	დამუშავების პროცესში
9	სხალთაჰესი	ხულო	შპს ,,აჭარისწყალი ჯორჯია"	მცირე	9.0	23.0	ექსპლუატა-ციის წელი 2020
10	შუახევიჰესი	შუახევი	შპს ,,აჭარისწყალი ჯორჯია"	საშუალო	178.0	427.0	ექსპლუატა-ციის წელი 2020
11	კორომხეთი ჰესი	ქედა	შპს ,,აჭარისწყალი ოჯორჯია"	-	-	-	დამუშავების პროცესში
12	კირნათი ჰესი	ხელვაჩაური	შპს ,,აჭარ-ენერჯი 2007'	საშუალო	51.25	219.0	ნაწილობრივ მოქმედი 2018 - დან, ნაწილის ექსპლუატაციის წელი 2019

13	ხელვაჩაური 1	ხელვაჩაური	შპს ,,აჭარ-ენერჯი 2007'	საშუალო	47.48	229.8	მოქმედი 2017-დან

წყარო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით რეგიონში 8 ჰიდროელექტრო სადგური მოქმედებს. დღეისთვის კი შენდება/დამუშავების პროცესშია 5 ჰესი: შუახევჰესი, კორომხეთიჰესი, სხალთაჰესი, ოქროპილაურიჰესი და გოგინაურიჰესი.

როგორც ვხედავთ, აჭარის რეგიონში წარმოდგენილია, მხოლოდ მცირე და საშუალო ზომის ჰესები. თუმცა, ის გავრცელებული მოსაზრება, რომ მცირე და საშუალო ჰესები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბუნებისათვის არ შეესაბამება სიმართლეს. „თუ ჰესი იმგვარადაა დაპროექტებული, რომ მდინარეში რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ბუნებრივი ჩამონადენის მხოლოდ 10% რჩება, ნებისმიერი ზომის ჰესმა შეიძლება ეკოსისტემის დეგრადაცია გამოიწვიოს. ხშირად ჰესების მშენებლობა იგეგმება ხელუხლებელ ეკოსისტემებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს პროექტების უარყოფით ზეგავლმაწაენას ბიომრავალფეროვნებაზე. ასევე, ხშირ შემთხვევაში, ჰესები იგეგმება არსებულ და დაგეგმილ დაცულ ტერიტორიებზე, ან მათ უშუალო სიახლოვეს (ხდე, დარიალი, მაჭახელა, ფარავნის ხეობა, კინტრიში და სხვ.). ხდის, დარიალის, მაჭახელას და სხვა უნიკალურ ხეობებში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება არა მხოლოდ უსამართლო, არამედ უკანონოც არის. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არ შეიძლება დადებითი ეკოლოგიური დასკვნა გაიცეს, თუ შემოთავაზებული საქმიანობით ირღვევა კანონი. „გარემოს დაცვის შესახებ," „საქართველოს „წითელი ნუსხისა" და „წითელი წიგნის" შესახებ" კანონების მიხედვით, აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს და სამიგრაციო გზებს, აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება. სამწუხაროდ, გარემოს დაცვის სამინისტროს ექსპერტები კანონის ამ ნორმებს ან არ იცნობენ, ან არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მისი დარღვევისათვის." **(მაჭარაშვილი, 2013:4)**

რეგიონის მდებარება იძლევა განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების საშუალებასაც. არსებული კვლევების თანახმად, შესაძლებელია ქარის რესურსები გამოყენებული იქნას ენერგეტიკული მიზნებისათვის. ქარის სადგურებისთვის პერსპექტიულ ადგილებად მოიაზრება მდ. ჭოროხის მიმდებარე ტერიტორია, სადაც შესაძლებელია აშენდეს 50 მგვტ. სიმძლავრის ქარის ელექტრო სადგური 120 მლნ.კვტ/საათი წლიური გამომუშავებით.[5]

რეგიონში უკვე აპრობირებულია ალტერნატიული ენერგიის წყაროდ მზის ენერგიის გამოყენება. ასევე კარგი შესაძლებლობაა, მეცხოველეობის განვითარების გამო, ბიოგაზის გამოყენება. ამის დიდი პოტენციალი აქვს მაღალმთიან აჭარას. არსებული ალტერნატიული ენერგოპოტენციალის გამოყენება კი თავისთავად ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიერ მოხმარებულ ელექტროენერგიაზე დანახარჯთა შემცირებას.

სოფლის მეურნეობა. აჭარის რეგიონი მცირე მიწიანია - რთული რელიეფით. რეგიონში სოფლის მეურნეობაში ინვესტიციები ძირითადად განხორციელდა შემდეგ მეურნეობებში:

- სასათბურე და სანერგე მეურნეობა;
- მტკნარი წლის მეთევზეობა;
- დამამუშავებელი სექტორი (ჩაი, თხილი, ციტრუსი, ხილი და თამბაქო).

რეგიონში ყველაზე გავრცელებული ერთწლიანი კულტურებია სიმინდი და კარტოფილი. მრავალწლიანი კულტურებიდან კი ციტრუსი (მანდარინი). სწორედ აჭარა აწარმოებს ქვეყნის ციტრუსის ნაწარმის 70%-ს. წარმოებული ციტრუსის დიდი ნაწილი გადის ექსპორტზე შემდეგ ქვეყნებში: რუსეთში, უკრაინაში, მოლდოვეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, ყაზახეთში, სომხეთსა და ბელორუსში.

აჭარაში **მეცხოველეობას** საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სწორედ ჩვენს რეგიონში იწარმოება ქვეყანაში წარმოებული რძის 6%. თუმცა ამ დარგის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზია საკვები ბაზის სიმწირე. მცირე ფართობებისა და

[5] საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო www.energy.gov.ge/investor.php?id_pages=20&lang=geo;

დაბალი მოსავლიანობის გამო, რეგიონულ წარმოებას არ შეუძლია დააკმაყოფილოს მეცხოველეობის სექტორის მოთხოვნები, ამიტომაც საკვების შემოტანა ხდება სხვა რეგიონებიდან.

მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ასევე **მეფრინველეობას,** რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, თუმცა ეს დარგი ადგილობრივი მოთხოვნის მხოლოდ ნაწილს აკმაყოფილებს.

რეგიონის წილი ქვეყნის **ჩაის** მთლიან მოსავალში მცირდება. ფოთოლსაკრეფ მდგომარეობაში ჩაის პლანტაციების მხოლოდ 40%-ია დანარჩენი კი გატყევებულია და საჭიროებს აღდგენით სამუშაოებს. ამასთან, გატყევებული ჩაის დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია. რეგიონში ბოლო პერიოდში გაიზარდა **თხილის** ბაღების ფართობები. რიგ ადგილებში თხილის ბაღები გააშენეს იქ სადაც ადრე ჩაის პლანტაციები იყო გაშნებული.

აჭარის რეგიონში გავრცელებულია **მეფუტკრეობა.** აქ საქართველოში წარმოებული თაფლის 15% იწარმოება. თაფლის წარმოებისა და ფუტკრების ოჯახების რაოდენობით აჭარა მეორე ადგილზეა საქართველოში სამეგრელო-ზემო სვანეთის შემდეგ. იმის მიუხედავად, რომ მეფუტკრეობა აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს, მათი მცირე ნაწილი ითვლება მაღალკვალიფიციურად. ნაწარმი ძირითადად იყიდება ადგილობრივ ბაზარზე.

წყალუხვი მდინარეების არსებობა რეგიონს საშუალებას აძლევს განავითაროს **სათევზე მეურნეობები.** თუმცა, არსებობს ხელშემშლელი ფაქტორები, მათ შორის გამოცდილი იხტიოლოგების ნაკლებობა და საკვები ბაზის არ არსებობა.

აჭარის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი მიმართულებაა თევზჭერა, თევზის გადამუშავება და დასაწყობება. არსებობს მისი ექსპორტის შესაძლებლობები. ზღვაში მოპოვებული თევზისაგან განსხვავებით, თევზსაშენ მეურნეობებში წარმოებულ პროდუქტს ამ ეტაპზე ექსპორტის შანსი არ აქვს.

ბუნებრივი რესურსები. აჭარის რეგიონში მოიპოვება სამკურნალო მინერალური და ბალნეოლოგიური წყლები, მადნეული, არამადნეული წიაღისეული. ქედასა და შუახევში ვხვდებით ფერად ლითონებს, კერძოდ სპილენძ-პოლიმეტალების საბადოებს.

მაგალითად, მერისის ოქროს შემცველი ქანები, სპილენძისა და ტყვიის საბადო, გოგირდის კოლჩედანის მარაგი შუახევში.

რეგიონში შესაძლებელია სამშენებლო მინერალური ნედლეულის - კერამიკული და აგურ-კრამიტის თიხების, სამშენებლო ქვების - ბაზალტი, გაბრო, ანდეზიტისა და სხვა და ასევე ისპანის ჭაობში შესაძლებელია ტორფის მოპოვება.

აჭარის ტერიტორიაზე არსებული სასარგებლო წიაღისეული და ნედლეული შეიძლება გამოყენებული იქნეს ქიმიური და კვების მრეწველობის, შავი მეტალურგიისათვის, აგროქიმიური და სხვა დარგებისათვის, კერამიკის წარმოებისათვის, საიუველირო და სანაკეთო წარმოებისათვის, სამშენებლო ინდუსტრიისათვის, ნედლეული მინის და მინის ტარის მისაღებად.

რეგიონს გააჩნია მტკნარი წყლების რესურსები, რომლებიც მოიცავენ მდინარეებს, ტბებს, მიწისქვეშა წყლებსა და ჭაობებს. ასევე მოიპოვება გოგირდოვანი და მინერალური სამკურნალო მუავე წყლები. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ნაკლებად ხდება წყლის რესურსის გამოყენება რეკრეაციული დანიშნულებითა და თევზის სატბორეებისათვის.

რეგიონში ბუნებრივი რესურსების არსებულ მარაგებს მნიშვნელოვანი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნიათ.

ამრიგად, არსებული სტატისტიკა და მონაცემები, ამასთან რეგიონის მდებარეობა, მრავალმხრივი მიმზიდველობა და დარგების მრავალფეროვნება ცხადყოფს რომ ბიზნეს სუბიექტებისთვის აჭარის რეგიონი საინტერესო და პერსპექტიულია ბიზნეს საქმიანობისათვის. თუმცა, ქვეყანაში რეგიონის პოზიციის შესანარჩუნებლად და შავი ზღვის აუზის ქვეყნების მასშტაბით კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპრტის, დამამუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის და სხვა ძირითად სექტორებთან ერთად უნდა მოხდეს ბიზნესის სხვა სექტორებშიც სპეციალიზაცია. ამავე დროს, უნდა გაუმჯობესდეს განათლების ხარისხი და მოხდეს ბაზრის საჭიროებებთან ადაპტაცია. მართალია კარგი განათლება ზრდის დასაქმების შესაძლებლობას მაგრამ იგი არ არის დასაქმების გარანტია. ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მაქსიმალური მხარდაჭერა.

§3.3 ბიზნეს სუბიეტების ქცევის თავისებურებების კვლევა

აჭარის რეგიონს, როგორც განვითარების ასევე კონკურენტუნარიანობის გაზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია, რომლის მიღწევაც შესაძლებელია კონკურენტუნარიანობის ზრდის შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევით და განვითარების იმ პერსპექტივების გათვალისწინებით, რომლებიც რეგიონს ამ ეტაპზე აქვს. ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს, რომლის შედეგები მოსახლეობის ფართო ფენისთვის იქნება ხელმისაწვდომი, უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კერძო სექტორი.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ელექტრონულ მონაცემებზე დაყრდნობით რეგისტრირებულ სუბიექტთა (ძალაში მყოფი რეგისტრაციით) საერთო რაოდენობა აჭარის რეგიონის მასშტაბით (ქ. ბათუმის, ქობულეთის მუნიციპალიტეტის, შუახევის მუნიციპალიტეტის, ხულოს მუნიციპალიტეტის, ქედის მუნიციპალიტეტისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული ტერიტორია) შეადგენს 61 745 სუბიექტს, ამათგან:

- ინდივიდუალური მეწარმე 35 344;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 25 165;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება 669;
- კოოპერატივი 315;
- უცხოური საწარმოს ფილიალი 134;
- სააქციო საზოგადოება 113;
- კომანდიტური საზოგადოება 5.

ქვეყანაში და რეგიონში არსებული ბიზნესგარემო განაპირობებს, როგორც ეკონომიკურ ზრდას, ასევე კერძო სექტორის განვითარების ტემპს. ქვეყნისა თუ კონკრეტული რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნესგარემოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას სწორედ ბიზნესმენები ფლობენ. ვინაიდან, ისინი არიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური ადამიანი და შესაბამისად, კარგად იცნობენ და აფასებენ ბიზნესგარემოს.

ჩვენ მიერ ჩატარებული იქნა გამოკითხვა, რომლის მიზანს წარმოადგენდა აჭარის რეგიონის ბიზნესგარემოს, შესაძლებლობების, მიმდინარე რეალობის შეფასება და

ანალიზი. გამოკითხული იქნა 112 ბიზნეს სუბიექტი რეგიონის მასშტაბით, რომლეთა დიდი ნაწილი 1-დან 27-წლამდე ოპერირებენ რეგიონის/ საქართველოს მასშტაბით.

გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი 52,7% (59) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, 25% (28) - ინდივიდუალურ მეწარმეს, 13,4% (15) მიკრო/მცირე მეწარმეს და 6,3% (7) - სააქციო საზოგადოებას, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე თანაბრად 0,9%-ითაა (1) სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება და კოოპერატივი.

დიაგრამა 3.3.1



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითვის მონაცემებით

გამოკითხულთა ძირითადი ნაწილისათვის ბიზნეს საქმიანობის დაწყებისათვის საკმარისი იყო ბიზნესის კეთების ინტერესი - 62.5% (70), მე-2 პოზიციაზე მყოფი კატეგორიისთვის კი მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსები 25.9% (29). გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილისათვის კი სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის სახელმწიფო ბიზნეს პროექტებში მონაწილეობა, დაკრედიტების გაიოლებული მექანიზმის არსებობა, შემოსავლის წყაროს ძიება და ა.შ. 11.6% (13). (იხ. დანართი, დიაგრამა №1)

ბიზნეს სუბიექტების დიდი ნაწილი 41.1% (46) ფიქრობს, რომ ბიზნეს საქმიანობის დაწყების დღიდან, ბიზნესგარემო რეგიონში გაუმჯობესდა, 25.9%-ის (29) აზრით - ბიზნესგარემო მცირედით გაუმჯობესდა, 22.3% (25) ბიზნეს სუბიექტი ფიქრობს, რომ ბიზნეს გარემო არ გაუმჯობესებულა, ხოლო გამოკითხულთა 10.7% (12) თვლის, რომ შეინიშნება რეგრესი და ბიზნესგარემო აფერხებს ბიზნესის განვითარებას

საქართველოში. (იხ. დანართი, დიაგრამა №2) ამასთან, გამოკითხულთა დიდი ნაწილი 37.5% (42) ფიქრობს, რომ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის საჭიროა სახელმწიფომ უზრუნველყოს საგადასახადო შეღავათების დაწესწება, 25%-ის (28) აზრით უნდა გაამარტივოს კანონმდებლობა, 24,1% (27) ფიქრობს, რომ დასახვეწია თანადაფინანსების მექნიზმი, 10.7% (12) თვლის, რომ უნდა მოხდეს ექსპორტის სუბსიდირება და წახალისება, ხოლო დარჩენილი 2.7% (3) ფიქრობს, რომ ფინანსური და საგადასახადო კუთხით დარღვევები უნდა იყოს დეკრიმინალიზირებული, და საჯარიმო სანქციების ოდენობა უნდა იყოს ადეკვატური ფინანსურ დანაშაულთან და არა დადგენილი და ფიქსირებული ოდენობით, ასევე სასურველია კანონმდებლობის გამარტივება, აუცილებელია სტაბილური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არ იცვლება ხშირად, მათი აზრით აუცილებელია სტაბილური ბიზნეს გარემო, რაზეც უნდა იზრუნოს სახელმწიფომ და ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი.

დიაგრამა 3.3.2

შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითვის მონაცემებით

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი იყო ასევე გაგვერკვია, რამდენად ხელმისაწვდომია კომპანიებისათვის ფინანსური სახსრების მიღება საკრედიტო დაწესებულებებიდან. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი 50.9% (57) ფიქრობს, რომ ახალი საბანკო რეგულაციების შემდეგ გარკვეული პრობლემები ხვდებათ სესხის აღებასთნ დაკავშირებით. 36.6%-ის (41) აზრით კი სესხის აღება მარტივია, 9.8% (11) თვლის რომ - რთულია, გამოკითხულთა 2.7% (3) კი არ ენდობა საბანკო დაწესებულებებს მაღალი

პროცენტის გამო, ასევე თვლის, რომ სტარტაპისთვის რთულია სესხის აღება და რიგ შემთხვევაში არ მიმართავს ბანკს. (იხ. დანართი, დიაგრამა №3)

ბაზარზე არსებული კონკურენციის პირობებში პრობლემაა ასევე კომპანიებისათვის კლიენტების/მომხმარებლების მოძიება და შენარჩუნება. გამოკითხულთა დიდი ნაწილის 65.2% (73) ბაზარზე გარკვეულ პრობლემებს აწყდება, 18.8%-სათვის (21) მარტივია კლიენტების/მომხმარებლების მოძიება, 9.8%-სათვის (11) კი აღნიშნული პროცესი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და ყველაზე ცოტა 6.3%-სათვის (7) - რთულია.

დიაგრამა 3.3.3



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითვის მონაცემებით

ბაზარზე არსებულ და ახალ კონკურენტებს გამოკითხულთა 66.1% (74) ხარისხიანი პროდუქციით უწევს კონკრენციას, 20.5% (23) - დაბლი ფასით, 8.9% (10) - ბრენდით/პრესტიჟულობით, ხოლო დანარჩენი 4.5% (5) - მომხმარებელზე მორგებული პროდუქტით, შესაბამისი ლოკაციით, ხარისხიანი მომსახურებითა და სიახლეებით ან თვლის, რომ ბაზარზე მისი საქმიანობის სფეროში კონკურენტები ნაკლებად არიან. (იხ. დანართი, დიაგრამა №4)

ბიზნეს სუბიექტების უმეტესობა 43.8% (49) პროდუქციის/მომსახურების შექმნის დროს მომხმარებელთა ინტერესებს ითვალისწინებს. 36.6% (41) - ხარისხს, 9.8% (11) - მოგებას, 8% (9) - დანახარჯებს, ხოლო 1.8% (2) - ერთდროულად, როგორც მომხმარებელთა ინტერესებს, ისე ხარისხს და ყველა ზემოაღნიშნულ კომპონენტს.

დიაგრამა 3.3.4

შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითვის მონაცემებით

საქმიანობის პროცესში ბიზნეს სუბიექტების ნაწილს გარკვეულწილად ხელოვნურ ბარიერებთანაც უწევთ გამკვლავება. გამოკითხულთა 53.6% (60) იშვიათად, მაგრამ რიგ შემთხვევებში მაინც აწყდება ხელოვნურ ბარიერებს, 26.8% (30) ფიქრობს, რომ ბოლო პერიოდში ბაზარზე არაჯანსაღი კონკურენციაა. 18.8% (21) ბაზარზე კონკურენციას ჯანსაღს უწოდებს, ხოლო 0,9%-ს (1) თანამდებობებზე მყოფი პირებისაგან ექმნება პრობლემები ნებართვების მიღებაზე.

დიაგრამა 3.3.5



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითვის მონაცემებით

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კანონმდებლობის ხშირი ცვლილება ქმნის გარკვეულ პრობლემებს ბიზნესსაქმიანობაში, რადგან ბიზნეს სუბიექტებისათვის გარკვეულ შემთხვევებში ეს ინფორმაცია ცნობლი პრობლემის წარმოქმნის შემდეგ ხდება. გამოკითხვამ აჩვენა, რომ რეგიონის მასშტაბით ბიზნეს სუბიექტების უმეტესობა 46.4% (52) ინფორმაციას ყოველთვის დროულად იღებს ელექტრონული ფოსტით ან საგადასახადო ორგანოს ოფიციალურ გვერდზე განთავსებული სიახლეებიდან. გამოკი-

თხულთა თანაბრი რაოდენობა კი, 26.8%-26.8% (30-30) ინფორმაციას საგადასახადო ორგანოში იგებს ან კიდევ, პრობლემის წარმოქმნის შემდეგ.

დიაგრამა 3.3.6



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითვის მონაცემებით

შრომის ბაზარზე ბიზნეს სუბიექტებისათვის პრობლემას წარმოადგენს სასურველი პროფესიონალი კადრების მოძიება. გამოკითხულთა 31.3%-სთვის (35) რთულია ადგილობრივ შრომის ბაზარზე პროფესიონალი კადრის პოვნა, 34.8% (39) ფიქრობს რომ ძალიან ცოტანი არიან პროფესიონალები, 24.1%-ს (27) კი თავად უწევთ გადაამზადონ კადრები, 5.4% (6) ათიქსირებს, რომ საგანმანათლებლო სივრცე ამარაგებს მათ პროფესიონალი კადრებით, ხოლო 4.5%-სათვის (5) მარტივია პროფესიონალების მოძიება.

დიაგრამა 3.3.7



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითვის მონაცემებით

აჭარის რეგიონში ფართო არჩევანია სასურველი ბიზნესსაქმიანობის დაწყებისათვის, თუმცა კვლევის პროცესში ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია თუ რას ფიქრობენ უკვე ბაზარზე მოქმედი ბიზნეს სუბიექტები - მათი აზრით, რომელი ბიზნეს სექტორის განვითარებაა აუცილებელი აჭარის რეგიონის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი 51.8% (58) ფიქრობს, რომ რეგიონისთვის პრიორიტეტული ტურიზმის სფეროს განვითარებაა, 17.9%-სათვის (20) - სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, 12.5%-სთვის (14) სოფლის მეურნეობა, 9.8%-სათვის (11) მშენებლობა, 1.8%-1.8%-სათვის (2-2) თანაბრად, ენერგეტიკა და წარმოების განვითარება, პროდუქციის გამოშვება, ხოლო გამოკითხულთა დანარჩენი ნაწილის აზრი, 4.5% (5) თანაბრად გაიყო სხვადასხვა დარგის ერთობლივად პრიორიტეტულობაზე.

დიაგრამა 3.3.8



შენიშვნა: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკითვის მონაცემებით

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ აჭარის რეგიონის დიდი პოტენციალისა და ქვეყნის ხელისუფლების მცდელობების მიუხედავად - ბიზნესგარემო იყოს სტაბილური და მიმზიდველი ინვესტორებისათვის, საქართველო და შესაბამისად, აჭარის რეგიონიც კვლავ გამოწვევების წინაშე დგას. ჩვენი კვლევის თანახმად, ეს გამოწვევებია: ბიზნესგარემოს გაუმჯობესება, ფინანსური რესურსები ხელმისაწვდომობა, კანონმდებლობის გამარტივება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, თანადაფინანსების მექანიზმის დახვეწა, ექსპორტის წახალისება და სუბსიდირება,

სამუშაო ბაზარზე პროფესიონალი კადრების დეფიციტი, ხელოვნური ბარიერების არსებობა.

დასკვნები და რეკომენდაციები:

ამრიგად, ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ ჯაჭვს, რომელიც მოიცავს საქართველოს ბიზნეს გარემოს დახასიათებას, არსებული ვითარების აღწერას, ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი ფაქტორების მიმოხილვას და ასევე სტატისტიკურ ანალიზს, რამაც გავლენა იქონია აჭარის რეგიონში ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებაზე და ხელსაყრელ პირობებთან ერთად შექმნა გარკვეული შეფერხებები ბიზნესის განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე, აჭარის რეგიონისათვის, ისევე როგორც მთელი საქართველოსათვის საერთოა რიგი ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული ბიზნესის დაწყების თავდაპირველი ეტაპებიდან. ამასთან, არსებობს რიგი ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ კონკრეტული რეგიონისათვის. ჩვენს შემთხვევაში კი აჭარის რეგიონისათვის დამახასიათებელია როგორც ხელსაყრელი გარემო პირობები, ასევე ხელისშემშლელი ფაქტორები. თემაში განხილულია რეგიონის ის რესურსები და პოტენციალი, რომელიც ხელ უწყობს ბიზნეს სექტორის განვითარებას.

აღნიშნული ნაშრომი შესაძლებლობას იძლევა ჩამოვაყალიბოთ შემდეგი დასკვნები:

- ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის განვითარებას. ბიზნესის განვითარება აუცილებელია კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად, რაზეც დამოკიდებულია საქართველოში საბაზრო რეფორმების ეფექტურობა და წარამატებები.
- განვითარებადი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობა ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის და კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობა. ბიზნესის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა არის სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი საერთო ეროვნული მიზნის მისაღწევად.
- აჭარის რეგიონში არსებობს პოტენციალი და შესაბამისი რესურსი ბიზნესის სხვადასხვა სფეროს განვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება რომ სწორედ, სამეწარმეო საქმიანობაში იქმნება ეროვნული სიმდიდრის ძირითადი მასა და იგი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმების პრობლემების მოგვარებაში უდიდესი როლი ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რადგანაც მან შეიძლება დაასაქმოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და გაზარდოს მათი შემოსავლები. ეს დასტურდება იმითაც, რომ განვითარებულ სახელმწიფოებში ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი დაახლოებით 60-65% შეადგენს.

ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შესაბამისი გარემოს არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაში სახელმწიფოს (ხელისუფლებას) წამყვანი როლი ენიჭება. ბიზნესის გარემო არის იმ ობიექტურ და სუბიექტურ პირობათა და ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბიზნესის განხორციელების შესაძლებლობაზე, მიმართულებაზე, ტემპსა და მასშტაბზე. ამ მხრივ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ბიზნესის განვითარებაზე მოქმედი როგორც გარეგანი ასევე, შინაგანი ფაქტორები.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ, ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების გარეშე ფაქტობრივად წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, ამიტომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორი და შედეგზე ორიენტირებული ეკონომიკურ-სამართლებრივი პოლიტიკის გატარებას.

რეგიონში ბიზნეს სექტორის განვითარებისათვის და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა:

ა) სახელმწიფოსა და ადგილობრივი კერძო ბიზნესის ურთიერთქმედების ეფექტიანობის გაზრდა;

ბ) ადგილობრივი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტურობის ზრდა;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა;

დ) ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა;

ე) კანონმდებლობის გამარტივება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, თანადაფინანსების მექანიზმის დახვეწა, ექსპორტის წახალისება და სუბსიდირება.

აჭარის რეგიონი წარმოადგენს ბიზნესის დაწყებისათვის ერთ-ერთ ხელსაყრელ გარემოპირობების მქონე ადგილს, სადაც აშკარადაა გამოკვეთილი ბიზნესსაქმიანობის რიგი უპირატესობები. ამასთან, ბიზნესის განვითარების ტენდენციები და დღეის მდგომარეობით არსებული ვითარება რეგიონში იძლევა შესაძლებლობას უფრო მეტი ინტერესი და ყურადღება იქნას გამოჩენილი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე და ინვესტიციების მოზიდვაზე.

რეგიონის მდებარეობა, მრავალმხრივი მიმზიდველობა და დარგების მრავალფეროვნება ცხადყოფს რომ ბიზნეს სუბიექტებისთვის აჭარის რეგიონი საინტერესო და პერსპექტიულია ბიზნეს საქმიანობისათვის. თუმცა, ქვეყანაში რეგიონის პოზიციის შესანარჩუნებლად და შავი ზღვის აუზის ქვეყნების მასშტაბით კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპრტის, დამამუშავებელი მრეწველობის, ენერგეტიკის და სხვა ძირითად სექტორებთან ერთად უნდა მოხდეს ბიზნესის სხვა სექტორებშიც სპეციალიზაცია. ამავე დროს, უნდა გაუმჯობესდეს განათლების ხარისხი და მოხდეს ბაზრის საჭიროებებთან ადაპტაცია.

მართალია კარგი განათლება ზრდის დასაქმების შესაძლებლობას მაგრამ იგი არ არის დასაქმების გარანტია. ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მაქსიმალური მხარდაჭერა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბახტაძე ლ., „გარდამავალი ხანის ეკონომიკა," თბილისი 2006წ.;
2. ბერიძე ლ., „ბიზნესურთიერთობების სრულყოფის, სოცია.ლური პრობლემების ამაღლების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები საქართველოში," ბათუმი 2012წ.;
3. გოგიაშვილი ო., „მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემები და მათი გადაჭრის გზები საქართველოში," ქუთაისი 2013წ.;
4. მესხია ი., „ბიზნესის საფუძვლები," თბილისი, 2011წ.;
5. სილაგაძე დ., „ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები და მათი რეალიზაციის გზები," სამეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი ეკონომიკური პროფილი, 2013წ.;
6. შენგელია თ., „ბიზნესის ადმინისტირების საფუძვლები," თბილისი 2008წ.;

7. ცინარიძე რ., „რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი,“ ბათუმი, 2012წ.;
8. შუბლაძე გ., ნანიტაშვილი მ., „ბიზნესის საფუძვლები,“ თბილისი, 2011წ.;
9. ცინარიძე რ., ღლონტი ვ., - „საინვესტიციო მიმზიდველობა აჭარის რეგიონში: შედეგები და პერსპექტივები,“ სტატია რეფერირებულ ჟურნალსა და რეცენზირებად საერთაშორისო ჟურნალში, ქუთაისი, 2017წ,;
10. ხარშილაძე გ., „საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებები გარდამავალ პერიოდში,“ თბილისი, 2015წ.;
11. ხუბუნაია შ., „მეწარმეობა,“ თბილისი, 2015წ.;
12. ჯონსი გ., ჯორჯი ჯ., „თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები,“ თბილისი 2006წ.;
13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016-2021 წლების განვითარების სტრატეგიული განვითარების გეგმა, ბათუმი 2016წ.;
14. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2015-2018 წლების სტრატეგიული გეგმა;
15. საქართველოს მცირე და საშულო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის;
16. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, ნოემბერი 2013წ,;
17. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2018-2021წ.;
18. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. ეკონომიკა ბიზნეს-გარემო საქართველოში. კვლევის შედეგები. სტატია - ბიზნეს განვითარების გამომწვევები;
19. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, გარდამავალი ხანის ეკონომიკა, გარდამავალი ხანის ეკონომიკა და საგარეო ეკონომიკური სექტორი;
20. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, პროექტი - ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება საქართველოში;
21. http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=102039&gid=5#.XQ3U49X7TIU - ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები, 11 ნოემბერი, 2018წ.;

22. https://www.bm.ge/ka/article/saxelmwifos-roli-ekonomikis-ganvitarebashi/3039 - სახელმწიფოს როლი ეკონომიკის განვითარებაში, 20 აპრილი, 2016წ.;

23. https://www.ei-lat.ge/images/stories/The_Economic_Transformation_of_Georgia_-_20_Years_of_Independence_Interim_Report_geo.pdf - საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი;

24. http://www.economy.ge/?page=projects&s=29 - სტარტაპ საქართველო;

25. http://www.energy.gov.ge/investor.php?id_pages=20&lang=geo; - ქარის ენერგია;

26. http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91 - ჩვენს შესახებ;

27. http://forbes.ge/news/1674/rogor-viTardeba-qarTuli-sabanko-sistema - როგორ ვითარდება ქართული საბანკო სისტემა, 25 ოქტომბერი, 2016წ.;

28. www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

29. http://liberali.ge/articles/view/2946/salome.ge – მითები და სინამდვილე ჰესების შესახებ, მაჭარაშვილი, 24 იანვარი, 2013წ.;

30. www.napr.gov.ge - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;

31. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-00---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL1.4&d=HASH6519caad6bbf4e8f4bb051.7&x=1 - ბიზნესგარემოს გაუმჯობესების შესაძლებლობები და გამოწვევები.

დანართები და დამატებები:

ცხრილი №1

რეგიონის კონკურენტუნარიანობა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• აჭარის გეოსტრატეგიული მდებარეობა - შავი ზღვისპირა მდებარეობისა და თურქეთთან სახმელეთო საზღვრის არსებობის თვალსაზრისით; • რეგიონს გააჩნია ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, (მთავრობა და წარმომადგენლობითი საკანონმდებლო ორგანო),	• არადივერსიფიცირებული ტურისტული ინდუსტრია და პროდუქტები; • ტურისტული პროდუქტის ფასისა და ხარისხის შეუსაბამობა კონკურენტებთან შედარებით; • მომსახურების დაბალი დონე; • ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში

საკუთარი რესპუბლიკური ბიუჯეტი. • აჭარის ხელმისაწვდომობა რკინიგზით, საავტომობილო მაგისტრალით, საზღვაო და საჰაერო გზებით • აჭარაზე (ბათუმის პორტზე) გამავალი ევროპა-კავკასია-აზიისკორიდორის TRACECA-ის ნაწილი; • არსებული სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა (საზღვაონავსადგური, საკონტეინერო ტერმინალი, საბორნე გადასასვლელი, რკინიგზა, საავტომობილოგზები და საერთაშორისო აეროპორტი); • ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობა • საერთაშორისო აეროპორტის არსებობა რეგიონში • ლიბერალური სავიზო პოლიტიკა • ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა • საკუთრების უფლების დაცულობა და უსაფრთხოება • ნებართვების გაცემის გამარტივებული წესი: ერთი ფანჯრის პრინციპი, ნებართვებზე მოსაკრებლების ოდენობის სიმცირე • ინვესტიციების განხორციელების სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების არსებობა; • ინვესტორების ინტერესი რეგიონის საინვესტიციო შესაძლებლობებისა და საინვესტიციო პროექტების მიმართ; • რეგიონში კერძო სამშენებლო, დეველოპერული და საპროექტო კომპანიების სიმრავლე; • ტურისტული რესურსების მრავალფეროვნება და უნიკალურობა; • რეგიონში ცნობილი სასტუმრო ბრენდების არსებობა; • რეგიონის ცნობადობის ზრდის კუთხით განხორციელებული ინიციატივები; • რეგიონის სანაპირო ზოლის როლის გაზრდასთან დაკავშირებით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება; • სათანადოდ აღჭურვილი და აკრედიტირებული ლაბორატორიების არსებობა; • ალტერნატიული მაღალპროდუქტიული კულტურების დანერგვის ტენდენციები; • საქართველოს რეგიონებს შორის, თბილისის გარდა, ურბანიზაციის ყველაზე მაღალი დონე, ურბანიზაციის ზრდის ტემპი; • აჭარაში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტოსა და	ჩარტერული და რეგულარული ფრენების და მიმართულებების ნაკლებობა; • ენერგორესურსების დამზოგავი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებისა და მასალების გამოყენების დაბალი დონე; • დაბალი ხარისხის პროდუქციით გაჯერებული ბაზარი; • რეგიონში სამეწარმეო უნარ-ჩვევების, ასევე თანამედროვე მართვისა და ადმინისტრირების ცოდნის დაბალი დონე; • რეგიონში მოქმედი მეწარმე სუბიექტების არასრული დატვირთვა; • ცალკეულ სამრეწველო საწარმოებში არსებული მოძველებული ტექნიკა და ტექნოლოგიები; • მომხმარებელთა უფლებების დაცვის სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის უზრუნველყოფის დაბალი დონე; • სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის დაბალი დონე; • დაბალი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი სამუშაო ძალა; • სოფლად მოსახლეობის დაბალი შემოსავლები და სასოფლო სამეურნეო საქმიანობის დაბალი რენტაბელობა; • ადგილობრივი წარმოების პროდუქციის სიმცირე და დაბალი კონკურენტუნარიანობა; • რეგიონში წარმოების განვითარებისთვის რესურსების სიმწირე; • საბანკო და სადაზღვევო პროდუქტების ნაკლებად ხელსაყრელი პირობები მეწარმეთათვის; • მეწარმეთა ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამებში ჩართულ მეწარმეთა სიმცირე; • ლოგისტიკური პრობლემები და წყვეტები სასოფლო სამეურნეო პროდუქციის მიწოდებაში; • სოფლის მეურნეობაში სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა და მოსავლიანობის აღრიცხვის არასრულყოფილება; • გადამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა; • ფერმერების განათლების დაბალი დონე; • ინვესტიციების არათანაბარი გადანაწილება აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის; • სპეციალური ინსტიტუციების არარსებობა, რომლებიც დაეხმარებიან ექსპორტით დაინტერესებულ მცირე და საშუალო საწარმოებს საექსპორტო ბაზრების მოძიებასა და ექსპორტის განხორციელებაში, პოტენციური პარტნიორების მოძიებაში;

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამების ხელმისაწვდომობა მეწარმეობის მხარდასაჭერად; • პორტის მომსახურების კონკურენტუნარიანი ტარიფები რეგიონის სხვა პორტებთან შედარებით; • რეგიონში სამაცივრე მეურნეობების განვითარების ტენდენცია; • საკურორტო რესურსების მრავალფეროვნება; • დონორი ორგანიზაციების ინტერესებისა და დაფინანსების ზრდა; • შედარებით იაფი მუშახელის არსებობა; • ციტრუსის ლოგისტიკის განვითარებული ინფრასტრუქტურა; • რეგიონში არსებული სასოფლო სამეურნეო ექსტენციის სისტემა; • ბათუმის ნავთობტერმინალის არსებობა; • რეგიონი წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაციებში (ERA) და რეგიონს ჰყავს დამეგობრებული რეგიონები და ქალაქები; • უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის არსებობა.	• აჭარის რეგიონის ტურისტულ ზონებში (ბათუმი, მახინჯაური, ჩაქვი, ციხისძირი) სარკინიგზო-სალიანდაგო ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს უშლის ტურიზმის შემდგომ განვითარებას; • საჰაერო გადაზიდვების მაღალი ტარიფები; • შეზღუდული საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გამო ბათუმის პორტის დაბალი კონკურენტუნარიანობა რეგიონის სხვა პორტებთან შედარებით; • ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენი ბილიკების შეზღუდული რაოდენობა; • სამაცივრე და სასაწყობო მეურნეობების არარსებობა რეგიონში არსებულ საბაჟო ზონებში; • განუვითარებელი ლოგისტიკური ინფრასტრუქტურა ბათუმის საზღვაო ნავსადგურში და ტერიტორიის სიმცირის გამო განვითარების ნაკლები შესაძლებლობა; • საზღვაო ნავსადგურის ირგვლივ არსებული განუვითარებელი საგზაო ინფრასტრუქტურა ზღუდავს საკონტეინერო გადაზიდვების განვითარებას; • რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებების დაბალი კონკურენტუნარიანობა; • საბორნე ხიდის ექსპლუატაციის მაღალი ღირებულება; • წყლის რესურსების მწირი გამოყენება. • ალტერნატიული საგზაო-ლოგისტიკური მარშრუტების არარსებობა რეგიონში.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• არსებული ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია და ახალი პროდუქტების შექმნა; • ტურიზმში ინვესტიციების მოზიდვა; • ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკისა და დარგის განვითარების სტრატეგიის შედგენა; • მომსახურებისა და ტურისტული პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება კონკურენციის ზრდასთან ერთად; • რეკრეაციული ზონების განვითარება; • განათლების სისტემის სრულყოფა და შესაძლებლობების უზრუნველყოფა; საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გამართვა; • სატრანსპორტო მომსახურების განვითარება; • აგროსამრეწველო სექტორში კოოპერაციისა და ფერმერთა თანამშრომლობის ხელშეწყობა; • რეგიონში წარმოებული პროდუქციის	• მიწის რეფორმის არარსებობა და მოუწესრიგებელი მიწათსარგებლობა; • კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა; • პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა; • ტერორიზმი; • ბათუმის სატვირთო ნავსადგურის კონკურენტუნარიანობის შესუსტება; • საგზაო-სატვირთო გადაზიდვების განვითარებისათვის რეგიონის დაბალი გამტარუნარიანობა; • ალტერნატიული საგზაო-ლოგისტიკური მარშრუტების მშენებლობის დაბრკოლება.

გასაღების ბაზრების დივერსიფიკაცია; • ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარება; • ინდუსტრიული პარკებისა და ორგანიზებული სამრეწველო ზონის შექმნა; • ინდუსტრიული საწარმოებისათვის აუცილებელი ინვესტიციების მოზიდვა; • ხელისუფლების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ წარმოებისა და მომსახურების სექტორების მხარდაჭერა; • ურბანიზაციის პროცესის გაგრძელება; • გადამამუშავებელი ეკოლოგიურად სუფთა საწარმოების განვითარება; • ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნეს ორგანიზაციების თანამშრომლობის ხელშეწყობა; • საჯარო და კერძო სექტორიების თანამშრომლობის მექანიზმების დანერგვა; • ჩარტერებისა და იაფი ფრენების შესაძლებლობათა განვითარება; • აჭარისსაზღვრისპირა მდებარეობის გათვალისწინებით, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება და ერთობლივი პროექტების განხორციელება; • საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობის ფარგლებში პროექტების განხორციელება; • ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენი ბილიკების რეკონსტრუქცია და დამატებითი ასაფრენი ბილიკების მშენებლობა; • სოფლის მეურნეობაში ალტერნატიული საექსპორტო და მაღალშემოსავლიანი კულტურების დანერგვა; • სამაცივრე, სასაწყობო და სატერმინალო მეურნეობების განვითარება; • მომსახურებასა და წარმოებაში სერტიფიცირებისა და სტანდარტიზაციის განვითარება; • სახელმწიფოს მხრიდან ინვესტორთა და მეწარმეთა მხარდაჭერის მექანიზმების სისტემატიზაცია და ინსტიტუციური განვითარება; • ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიისა და შესაძლებლობების განვითარება; • გონიოს სასროლეთის ტერიტორიის განვითარება; • რეგიონის, როგორც ლოგისტიკური ცენტრის შესაძლებლობების განვითარება;	

• რეგიონში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა; • საზღვაო სამგზავრო გადაზიდვებისა და საკრუიზო მიმართულებების განვითარება; • რეგიონში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; • წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა.	

წყარო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

რესურსებზე წვდომა და ოპტიმალური გამოყენება

ცხრილი №2

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ბუნებრივი რესურსები • რეგიონში არსებული ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება; • ბიომრავალფეროვნების ნაირსახეობა, დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები და ეროვნული პარკები); რეგიონის მტკნარი მიწისქვეშა წყლები და მისი საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგი; • მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსების, მინერალური და სუფთა წყლის მარაგი; • სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად საკმარისი ტყის მერქნული და არამერქნული რესურსები; • საშენ მასალათა წარმოებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების არსებობა; • რეგიონში არსებული სამკურნალო-სარეკრეაციო ზონები და განვითარების მაღალი პოტენციალი; • ზღვის რესურსების ხელმისაწვდომობა; • რეგიონში ეკოტურიზმისა და აგროტურიზმის განვითარებისათვის სათანადო რესურსების არსებობა; • რეგიონში პირველადი, ხელშეუხებელი ტყის არსებობა; • რეგიონში ტყის ინვენტარიზაციის შედეგად შედგენილი ტყის მართვის გეგმები. ფინანსური რესურსები • განვითარებული საბანკო სექტორი; • დაცული ტერიტორიებისა და მიმდებარე თემების განვითარების პროგრამები;	**ბუნებრივი რესურსები** • მცირე მდინარეებისა და მათი შენაკადების ბაქტეოროლოგიური დაბინძურება წყალდაცვით ზოლებში საკანალიზაციო წყლების ჩადინებით; • გარემოსდაცვითი ნორმების შეუსაბამობა და მათი არასათანადოდ დაცვა; • ზღვის სანაპირო ზოლის დაბინძურება; • ტყეთსარგებლობის წესების დარღვევაზე დაუსჯელობის სინდრომი მოსახლეობაში, მომხმარებლების დაბალი ცნობიერება ტყეთსარგებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ; • ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის არასრულყოფილი სისტემა; • დაავადებათა კერების სწრაფად აღმოჩენისა და პრევენციის თანამედროვე მიდგომების ნაკლებობა; • მერქნული რესურსის ალტერნატიული ენერგომატარებლების ნაკლებობა, რაც შეამცირებს დატვირთვას მერქნულ რესურსზე; • სოციალური მიზნებისათვის სამასალედ გამოყოფილი ხე-ტყის მასალის მიზნობრივად გამოყენების კონტროლისა და ადმინისტრირების სისტემის სისუსტე; • მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურება; • საექსპორტო პოტენციალის მქონე ბუნებრივი რესურსების სიმწირე; • სამშენებლო მასალების წარმოებისათვის აუცილებელ ბუნებრივ რესურსებზე შეზღუდული წვდომა.

• სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამები; • ბიზნესის მიმართ დაწესებული საგადასახადო შეღავათები მაღალმთიან რეგიონებში; • საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა.	**მიწის რესურსები** • რეგიონი მცირე მიწიანია, რთული რელიეფით და შინამეურნეობების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს ახასიათებს მაღალი ფრაგმენტაცია • აუთვისებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები • მიწის საკუთრების, მიწის აღრიცხვიანობის (კადასტრის) და მიწათსარგებლობის საკითხების მოუწესრიგებლობა • სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების 21% საშუალო, ხოლო 39% დაბალი ბუნებრივი ნაყოფიერებით ხასიათდება; დაბლობ ზონაში ნიადაგების მაღალი მჟავიანობა; • ნიადაგების გამოკვლევისა და ნაყოფიერების მონიტორინგის სისტემის არარსებობა; • სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების რეგისტრაცია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებად სათანადო დასაბუთების გარეშე; • საძოვრების არარაციონალური გამოყენება და რეაბილიტაციის სისტემის არარსებობა; • ბუნებრივი რესურსების არასაკმარისი გამოყენება რეგიონის ტურისტული პროდუქტების შემდგომი განვითრებისათვის. **ფინანსური რესურსები** • გრძელვადიანი და იაფი საკრედიტო რესურსების ნაკლებობა; • მომხმარებლებისათვის მიმზიდველი სადაზღვევო პროდუქტების სიმწირე; • კაპიტალისა და ინვესტიციების სიმწირე; • არასაკმარისი ფინანსური რესურსები კერძო სექტორის განვითარების მხარდასაჭერად; • კერძო სექტორის შეუსაბამო ბიზნეს-უნარები, ეფექტიანად გამოიყენოს ფინანსური, ტექნოლოგიური და სხვა სახის რესურსები.
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ტყის რესურსების ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად სატყეო სექტორის მართვის და სატყეო მეურნეობის თვითმყოფად მოდელზე გადასვლა; • იაფი და გრძელვადიანი საკრედიტო	• მოსახლეობის მწირი შემოსავლები, რაც განაპირობებს ტყის რესურსების არაგონივრულ გამოყენებასა და ტყეთსარგებლობის წესების დარღვევას; • ტყით დაუფარავი და ტყის დეგრადირებული ტერიტორიები

რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა; • წყლის რესურსების ეფექტიანო გამოყენების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელება და ინვესტიციების მოზიდვა; • ბიომრავალფეროვნების, როგორც რესურსის ეფექტიანად გამოყენების მხარდაჭერა ტურისტულ, სამრეწველო და სხვა სეგმენტებში; • ზღვისა და მდინარეების რესურსის გამოყენების მხარდაჭერა რეგიონში ზღვის პროდუქტების წარმოებისათვის; • რეგიონში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასების საფუძველზე რეგიონის ბუნებრივი და მიწის რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების დაგეგმვა და შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრა; • მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენების ხელშეწყობა; • ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების მხარდაჭერა; • ბუნებრივი საძოვრების რეაბილიტაცია; • მიწის საკუთრებისა და რეგისტრაციის საკითხების დარეგულირება; • განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენების მაღალი პოტენციალი; • საძოვრებისა და გადასარეკი ტრასების მოვლა-შენახვის მდგრადი სისტემის ამოქმედება; • მდინარეების პოტენციური სიმძლავრის არასაკმარისი გამოყენება მცირე ჰესების მშენებლობისათვის. • ზღვის სანაპირო ზოლში მიწების რეაბილიტაცია და რეკულტივაცია.	ამოღებულია ტყის ფონდიდან; • ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ტყეების დეგრადაცია და ახალი დაავადებებისა და მავნებლების გავრცელება; • ეროზირებული მიწის ფართობების მნიშვნელოვანი ნაწილი და რეგიონში გააქტიურებული სტიქიურ-გეოლოგიური მოვლენები; • ავარიებისა და კატასტროფების დროს გარემოს დაბინძურების რისკები; • ნიადაგის დაბინძურება ორგანული, არაორგანული და ქიმიური ნივთიერებებით; • სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების შემცირება (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება); • ნიადაგდაცვითი ღონისძიებების გაუთვალისწინებლად სასოფლო- სამეურნეო წარმოებით ნიადაგის დეგრადაცია; • ჰაერის დაბინძურება მავნე ნივთიერებების შემცველი გამონაბოლქვით; • კლიმატის ცვლილებები და უარყოფითი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე, ბუნებრივ რესურსებსა და მათ გამოყენებაზე; • მიწის რეფორმის დაბრკოლება; • ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი გარემოსდაცვითი რისკები. • ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა.

წყარო: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

ჩატარებული კვლევების შედეგები

კითხვარის ლინკი:

https://docs.google.com/forms/d/1pKC_7n2drKr35v8FyNgccFGMPHY8Osei-uEKOvq10a8/viewform?edit_requested=true&fbclid=IwAR3CRLZxvVVdarLjJNkYfk6lTzaC2aB4f3SL-BWxJRzdvYP81hMtJp1UgG8

დიაგრამა №1



დიაგრამა №2



დიაგრამა №3

დღეისათვის მარტივია თუ არა თქვენი კომპანიის მიერ სესხის აღება საკრედიტო დაწესებულებებიდან?

112 responses



დიაგრამა №4

რითი უწევთ კონკურენტებს კონკურენციას ბაზარზე?

112 responses